



მონაბანთღათა ბამონატვის თავისუფლების ფანბღაბი

თბილისი, 2021

ავტორები:

თამთა კახიძე

მაგდა ჯიმშელიძე

ივანე ჩიტაშვილი

კვლევის ხელმძღვანელი:

გია გვილაგა

პუბლიკაცია მომზადდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იყო გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“. ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.



USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

| | |
|--|----|
| ძირითადი მიგნებები | 4 |
| მეთოდოლოგია | 5 |
| შესავალი | 6 |
| I. მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლება | 7 |
| 1.1. მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საერთაშორისო სტანდარტი | 7 |
| 1.2. მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ადგილობრივი სტანდარტი | 10 |
| 1.3. ზღვარი სამოსამართლო ეთიკასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის | 11 |
| 1.4. მოსამართლეთა საჯარო ქცევა პრაქტიკაში და მისი შესაბამისობა საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან | 18 |
| 1.5. მოსამართლეთა მიერ გამოხატვის თავისუფლებით არასათანადოდ სარგებლობის შედეგები | 22 |
| II. მართლმსაჯულების ორგანოების როლი საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში | 25 |
| 2.1. ვის შეუძლია საზოგადოებასთან კომუნიკაცია | 25 |
| 2.2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლი საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში | 26 |
| 2.3. მოსამართლეთა ეთიკის ნორმები საბჭოს წევრებთან მიმართებით | 27 |
| 2.4. საბჭოს წევრების კომუნიკაციის ფორმა საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელთან | 29 |
| 2.5. სპიკერ-მოსამართლეთა როლი საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში | 40 |
| დასკვნა | 42 |

- **მოსამართლის გამოხატვის თავისუფლება დაცულია**, მათ შორის, მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს ისეთ განხილვებში, რომელიც სასამართლოს ეფექტიან ფუნქციონირებას ეხება. ამასთან, მოსამართლემ ამ უფლებით სარგებლობისას არ უნდა შელახოს მართლმსაჯულების ინტერესი, მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა.
- **იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებულია დაიცვას სასამართლოს ავტორიტეტი და ინდივიდუალური მოსამართლის რეპუტაცია**. ამ ფუნქციის შესრულებისას საბჭოს მოსამართლე წევრებზე ვრცელდება ბანგალორის პრინციპები¹ და საქართველოს მოსამართლეთა ეთიკის წესები. სამწუხაროდ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების ნაწილის ქმედებები, ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამებოდა მოსამართლის მაღალ სტატუსს და არღვევდა ეთიკურობის სტანდარტს.
- **მოსამართლეს არ ეკრძალება სოციალური მედიით სარგებლობა**. თუმცა, სხვა შემთხვევების მსგავსად, მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს იმგვარი მოსაზრებების გაჟღერებისგან, რაც მართლმსაჯულების ინტერესს დააზიანებს. ქართულ რეალობაში, ინდივიდუალური მოსამართლეების გამოხატვის ფორმა, რაც შემთხვევებში, არ შეესაბამება ეთიკის აღიარებულ სტანდარტებს, რაც საბოლოოდ მართლმსაჯულებისადმი საზოგადოების ნდობას აზიანებს.
- **მნიშვნელოვანია, მოსამართლის პოლიტიკური საქმიანობისაგან დისტანცირება**. მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს იმგვარი განცხადების ან/და პოლიტიკური ხასიათის ნებისმიერი ქმედებისაგან, რამაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს მისი მიუკერძოებლობა. ამის საპირისპიროდ, **მოსამართლე ლევან მურუსიძემ, წინასაარჩევნო პერიოდში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთან საჯარო დებატებში მიიღო მონაწილეობა და არ დატოვა მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მოსამართლის შთაბეჭდილება**. დებატების დროს მურუსიძის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, სრულად ემთხვეოდა ხელისუფლების წარმომადგენელთა იმ განცხადებებს, რომლებიც მაჟორიტარობის კანდიდატის დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად. მისი ქმედება გამოხატვის თავისუფლების ფარგლების დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე შემთხვევა იყო.
- **მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის სრული და დაუბალანსებელი ძალაუფლების პირობებში** სახიფათო პრეცედენტად უნდა შეფასდეს გავლენიანი მოსამართლეების მიერ კონკრეტული პირების საჯარო პერსონალური კრიტიკა.
- **მოსამართლის მიერ გამოხატვის თავისუფლების ფარგლების ნებისმიერი დარღვევა არ შეიძლება დისციპლინირების საფუძველი გახდეს**. არაეთიკური გამოხატვის ყველა შემთხვევის დისციპლინირებას შესაძლოა „მსუსხავი ეფექტი“ ჰქონდეს სისტემაში განსხვავებული აზრის წარმოქმნაზე ან მისი რეალიზებაზე. პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი უნდა იყოს მხოლოდ ისეთი გამოხატვა, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით პირდაპირ და არაორაზროვნად არის გათვალისწინებული.
- **მოსამართლეს არ უნდა ჰქონდეს მოლოდინი, რომ გამოხატვის თავისუფლებით ნებისმიერი სარგებლობა მის დისციპლინირებას გამოიწვევს**. ქართული მართლმსაჯულების სისტემაში მოსამართლეთა მხრიდან კრიტიკული მოსაზრებების გამოხატვა არ არის წახალისებული. უფრო მეტიც, წარსულში განსხვავებული აზრის გამო სისტემიდან ეტაპობრივად განიდევნენ „მოსამართლეთა ერთობის“ წევრები. ზოგიერთი მათგანის მიმართ დისციპლინური წარმოებაც კი დაიწყო.
- **სპიკერ-მოსამართლეების საზოგადოებასთან კომუნიკაცია მწირია**. არსებული ფორმით აღნიშნული ინსტიტუტი საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაციის ფუნქციას ვერ ასრულებს.

1 საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც მოსამართლეთა ეთიკური ქცევის მინიმალურ სტანდარტებს განსაზღვრავს.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების ფარგლების დადგენას. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლის გამოკვეთას საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში. ასევე იმ სტანდარტების განსაზღვრას, რითაც მოსამართლე უნდა ხელმძღვანელობდეს გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის ფარგლებში.

კვლევის მიზნებისათვის პროექტის გუნდმა გამოიყენა ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავებისთვის შემდეგი მეთოდი და წყარო:

კვლევის ფარგლებში გაანალიზდა, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო კანონმდებლობა და პრაქტიკა; დამუშავდა საჯაროდ ხელმისაწვდომი სხვადასხვა საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ტელევიზიით, სოციალური მედიით და საერთო სასამართლოების ოფიციალური საჯარო განცხადებებით გაჟღერებული ინფორმაციები და ამის საფუძველზე შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები.

როგორც მიგნებების, ასევე რეკომენდაციების შემუშავების ეტაპზე, კვლევის გუნდმა გაითვალისწინა საერთო სასამართლოების სისტემაში დღეს არსებული მდგომარეობა, 2012 წლიდან განვითარებული მოვლენები და საერთო კონტექსტი.

გამოხატვის თავისუფლება ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია ისეთი გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა. ამ უფლების ეფექტიანი რეალიზაცია მეტწილად განსაზღვრავს ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხს. ამასთან, ამ უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა აფერხებს დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებას, ვინაიდან ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განუხრელი დაცვის გარეშე დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბება შეუძლებელია.

გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა ნებისმიერ ადამიანს, მათ შორის მოსამართლესაც უნდა შეეძლოს. თუმცა, არსებობს ისეთი ღირებულებები, რომელთა დაცვა ასევე მნიშვნელოვანია. მაგალითად, დამოუკიდებელი სასამართლო და მისი ავტორიტეტი, რომელიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია სამართლებრივი სახელმწიფოს სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის. მოსამართლის მიერ საჯაროდ ნათქვამმა სიტყვებმა შესაძლოა შელახოს მართლმსაჯულების ინტერესები ან/და საზოგადოების აღქმა სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის შესახებ. ასეთი შემთხვევები კი ქართული მართლმსაჯულებისათვის ჰიპოტეტური სულაც არ არის. მოსამართლეთა მხრიდან საკმარის ხშირია განცხადებები, რომლებიც შესაძლოა სამოსამართლო ეთიკის წესებს არღვევდნენ და საზოგადოებაზეც უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებდნენ.

საზოგადოებას საკმარისი ინფორმაცია უნდა ჰქონდეს სასამართლო სისტემაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს, როგორც სასამართლოს მიმართ ნდობის ამაღლებას, ასევე მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდას. ამ მიზნით, სასამართლო უნდა იყოს პროაქტიული და რეფორმებისა თუ მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ კომუნიკაციის ინიციატორი.² თუმცა, მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, თუ ვინ შეიძლება დაამყაროს საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაცია. ამასთან, საინტერესოა ამ პროცესში ინდივიდუალურ მოსამართლის როლი.

ზოგადად მიღებული შეხედულებაა, რომ გამოხატვის თავისუფლების დაბალანსების საუკეთესო გზა ისევ გამოხატვაა.³ მოსამართლის უფლებამოსილება დაკავშირებულია სიმართლის, სამართლიანობისა და თავისუფლების ფასეულობებთან. ამდენად, მოსამართლეებმა საკუთარი მოვალეობები უნდა შეასრულონ პროფესიული ქცევის უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად, რაც ხელს უწყობს, როგორც ინდივიდუალური მოსამართლის, ისე სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის ამაღლებას.⁴ შესაბამისად, საინტერესოა სამოსამართლო ეთიკის მოქმედების პირობებში, მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების ფარგლები. წინამდებარე კვლევის მიზანია, შეისწავლოს თუ სად გადის ზღვარი, მოსამართლის გამოხატვის თავისუფლებას, სამოსამართლო ეთიკის დაცვასა და დისციპლინურ პასუხისმგებლობას შორის.

2 European Network of Councils for the Judiciary 2011/2012 Project on Judiciary, Society and the Media. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3sWoH2g> [ბოლოს ნანახია 22.02.2021]

3 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება N1/6/561,568 საქმეზე საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 50.

4 CONSULTATIVE COUNCIL OF EUROPEAN JUDGES (CCJE) OPINION NO. 18 (2015) "The position of the judiciary and its relation with the other powers of state in a modern democracy", para. 16-19, London, October 2015; ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/2PUxraY> [ბოლოს ნანახია 22.02.2021]

I. მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლება

1.1. მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების უზღუდვის საერთაშორისო სტანდარტი

ევროპული კონვენციის მეათე მუხლი ადგენს, რომ „ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად“.⁵ ამასთან, კონვენცია ამომწურავად ჩამოთვლის, ყველა იმ ლეგიტიმურ მიზანს, რომლის არსებობისას შესაძლებელია აღნიშნული უფლების შეზღუდვა: „ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ისინი განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უნესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.“⁶

ევროპული კონვენციის მეათე მუხლი გამოხატვის თავისუფლების დაცვის უმნიშვნელოვანეს გარანტიებს განსაზღვრავს. გამოხატვის თავისუფლება მოსამართლეებზეც ვრცელდება. თუმცა მათი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად, გამოხატვის თავისუფლების ფარგლების შეზღუდვა ლეგიტიმურად შეიძლება ჩაითვალოს.⁷ მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს თუ იგი განსაზღვრულია კანონით და აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, კერძოდ სასამართლოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და ავტორიტეტის დასაცავად.⁸

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განსაზღვრავს, სამართლიანი ბალანსის დაცვის აუცილებლობას პირის გამოხატვის თავისუფლებასა და დემოკრატიული სახელმწიფოს ლეგიტიმურ ინტერესს შორის.⁹ მოსამართლეებისათვის დაწესებულმა შეზღუდვებმა გავლენა არ უნდა მოახდინოს კონვენციის მე-10 მუხლით დაცული უფლების არსზე.¹⁰ მოსამართლის სტატუსი ავტომატურად არ იწვევს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას, თუმცა მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს იმგვარი გამოხატვისგან, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სასამართლოს ავტორიტეტსა და მიუკერძოებლობას.¹¹ მოსამართლის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის პროპორციულობის შეფასებისას ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს საქმის გარემოებებს, მათ შორის მოსამართლის მიერ დაკავებულ პოზიციას, სადავო განცხადების შინაარსსა და კონტექსტს, ასევე მოსამართლის მიმართ გამოყენებული სანქციის ბუნებასა და სიმძიმეს.¹²

5 ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი.

6 ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციის მე-10 მუხლის მეორე პუნქტი.

7 European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Report on the Freedom of Expression of Judges, 23 June 2015, para. 80.

8 Human Rights Council, Report of the Special Rapporteur on the Independence of Judges and Lawyers, 29 April 2019, paras. 32-34.

9 Dijkstra, The Freedom of the Judge to Express his Personal Opinions and Convictions under the ECHR, 13 (1) *Utrecht Law Review* (2017).

10 *Kudeshkina v. Russia*, no. 29492/05, 26 February, 2009, para. 85.

11 *Wille v. Liechtenstein* [GC], no. 28396/95, ECHR 1999-VII, para. 64.

European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Report on the Freedom of Expression of Judges, 23 June 2015, paras. 65-67.

12 European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Report on the Freedom of Expression of Judges, 23 June 2015, para. 83.

მაგალითად, საქმეში *Baka v. Hungary* განმცხადებელი, რომელიც უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე იყო, დაკავებული თანამდებობიდან სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით განსახორციელებელი საკანონმდებლო ცვლილებების შეფასების გამო გათავისუფლდა. სასამართლომ დაადგინა, რომ მისი გათავისუფლებით დაირღვა განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლება, რადგან მას სასამართლოს რეფორმირებასთან დაკავშირებით, არათუ აზრის გამოთქმის უფლება, არამედ პროფესიული ვალდებულებაც კი ჰქონდა.¹³

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, მოსამართლის მიერ გაკეთებული განცხადების შინაარსიც. შესაძლებელია, მოსამართლის განცხადებას პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდეს, თუმცა ასეთ შემთხვევაში უნდა შეფასდეს რამდენად მნიშვნელოვანი იყო მისი შინაარსი საზოგადოებრივი განხილვისათვის. საქმეში *Kudeshkina v. Russia* მოსამართლის შეფასებები სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით ჯდებოდა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, რადგან მოსამართლეებზე ბენოლის სავარაუდო შემთხვევების შესახებ მისი განცხადებები საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი და აქტუალური იყო.¹⁴

სასამართლოს მიმართ ნდობა მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელების უმნიშვნელოვანესი გარანტიაა. მოსამართლეთა ქცევა ყოველთვის ექცევა საზოგადოების ყურადღების ქვეშ და ხშირად მისი მიუკერძოებლობის შესახებ აღქმის თავისებურებებს განსაზღვრავს. შესაბამისად მოსამართლეთა ქცევა უნდა პასუხობდეს მიუკერძოებლობის, ობიექტურობის, სამართლიანობის, თანასწორობის, პროფესიონალიზმისა და გულმოდგინების მოთხოვნებს.¹⁵ მოსამართლე, ინსტიტუციური და ინდივიდუალური დამოუკიდებლობასთან ერთად, უნდა იყოს მიუკერძოებელი. მან მოვალეობები ფავორიტიზმის, მიკერძოებისა და წინასწარ ჩამოყალიბებული მოსაზრების გარეშე უნდა შეასრულოს, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში თავიდან აიცილოს დისკრიმინაცია, იმოქმედოს მხარეთა თანასწორობის საფუძველზე და უზრუნველყოს სამართლიანი სასამართლო, თავი შეიკავოს ნებისმიერი პოლიტიკური აქტივობისაგან, რომელმაც შეიძლება ხელყოს მისი დამოუკიდებლობა და უარყოფითი როლი ითამაშოს მისი მიუკერძოებლობის შესახებ საზოგადოების აღქმაზე.¹⁶

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები განსაზღვრავს მოსამართლეთა ეთიკური ქცევის მინიმალურ სტანდარტებს და ქმნის სამოსამართლო ქცევის მარეგულირებელ ჩარჩოს.¹⁷ ბანგალორის პრინციპებით სამოსამართლო ქცევის ექვსი ღირებულებაა განსაზღვრული, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში მნიშვნელოვანია მოსამართლეთა მიუკერძოებლობისა და წესიერების პრინციპები.

მიუკერძოებლობის ვალდებულება ვრცელდება არა მხოლოდ გადაწყვეტილებაზე, არამედ იმ პროცესზეც, რომლის შედეგად გადაწყვეტილება მიიღება. მოსამართლის ქცევა უნდა იცავდეს და ამაღლებდეს სასამართლოს მიუკერძოებლობის მიმართ ნდობას, როგორც საზოგადოების ასევე იურიდიული პროფესიებისა და მხარეების მხრიდან.¹⁸

მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს ისეთი ქმედებებისა თუ განცხადებისაგან, რომელმაც შეიძლება შეასუსტოს მოსამართლის მიუკერძოებლობის აღქმა. მიკერძოების აღქმის გაჩენა თითქმის გარდაუვალია, მაშინ როდესაც მოსამართლის ქმედებები ყურადღებას იქცევს და ინვესს კრიტიკას ან/და კონტრარგუმენტების წარდგენას.¹⁹

13 *Baka v. Hungary [GC]*, no. 20261/12, 23 June 2016.
14 *Kudeshkina v. Russia*, no. 29492/05, 26 February, 2009, paras. 94-95.
15 Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion no. 3 on the Principles and Rules Governing Judges' Professional Conduct, in Particular Ethics, Incompatible Behaviour and Impartiality, paras. 22-26.
16 Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion no. 3 on the Principles and Rules Governing Judges' Professional Conduct, in Particular Ethics, Incompatible Behaviour and Impartiality, para. 50
European Charter on the Statute for Judges, DAJ/DOC (98) 23, para. 4.3.
17 Human Rights Council, Report of the Special Rapporteur on the Independence of Judges and Lawyers, 29 April 2019, para. 38.
18 The Bangalore Principles of Judicial Conduct (2002), para. 2.2.
19 Commentary on the Bangalore Principles of Judicial Conduct (September, 2007) para.65.

მოსამართლე უფლებამოსილია გააკეთოს საჯარო განცხადება, თუ იგი მიმართულია სასამართლო ინსტიტუტების ანდა ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. თუმცა, ასეთ შემთხვევაშიც კი მოსამართლე უნდა იყოს მაქსიმალურად მოზომილი, რათა მის მიერ გამოხატულმა მოსაზრებამ კონკრეტულ საკითხთან აფილირება ანდა პოლიტიკური მიკერძობების აღქმა არ გააჩინოს.

იმ შემთხვევაში თუ სასამართლოს გადანყვეტილების მიმართ არსებობს საჯარო კრიტიკა, მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს პასუხის გაცემისაგან. უმჯობესია, მოსამართლის პოზიციისა და მსჯელობის მართებულობას მის მიერ მიღებული გადანყვეტილება განსაზღვრავდეს.²⁰ მიუღებელია, მოსამართლე მის გადანყვეტილებას საჯაროდ, სასამართლო დარბაზის გარეთ იცავდეს. იმ შემთხვევაში თუ მედია არასწორად აშუქებს სასამართლოს პროცესს ან გადანყვეტილებას და მოსამართლე თვლის, რომ ეს შეცდომა უნდა გამოსწორდეს, შესაძლებელია სასამართლოს სამდივნოს მიერ გამოქვეყნდეს პრეს-რელიზი, რომელშიც სასამართლოს პოზიცია იქნება დაფიქსირებული.²¹ გარდა ამისა, საზოგადოებაში მიუკერძოებლობის აღქმის შენარჩუნების მიზნით, მნიშვნელოვანია, მოსამართლეებმა მედიასთან კომუნიკაციის დროს გამოიჩინონ მაქსიმალური წინდახედულება და თავი შეიკავონ ისეთი განმარტებების გაკეთებისაგან, რომელსაც ინტერპრეტაცია შეიძლება მიეცეს.²²

მოსამართლის ნებისმიერ საქმიანობაში წესიერების გამოვლენას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. მოსამართლეს, ისევე როგორც ყველა მოქალაქეს აქვს აზრის გამოხატვის უფლება, მისი რეალიზაციისას კი ისე უნდა მოიქცეს, რომ შეინარჩუნოს მოსამართლის თანამდებობრივი ღირსება, სასამართლოს მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა.²³

მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს საზოგადოებრივ პოლემიკაში ჩართვისაგან. იმ შემთხვევაში თუ მოსამართლე ჩაერთვება საჯარო დისკუსიებში, სადავო საკითხებთან დაკავშირებით გამოხატავს თავის აზრს, საჯარო პირებთან შევა კამათში ანდა გააკრიტიკებს მთავრობას ან პირთა სხვა ჯგუფს, მოსამართლე გადანყვეტილების გამოტანის პროცესში მიუკერძოებელ არბიტრად აღარ იქნება აღქმული.²⁴ მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს არა მარტო პოლიტიკურ აქტივობებში მონაწილეობის მიღებისაგან, არამედ ისეთ საჯარო დებატებში მონაწილეობის მიღებისაგან, რომელსაც გააჩნია პოლიტიკური კონტექსტი ან ბუნება.²⁵

მოსამართლე უფლებამოსილია საჯაროდ ისაუბროს ისეთ თემებზე, რომელებიც პირდაპირ გავლენას ახდენს სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფუნდამენტურ საკითხებზე ან გამოირჩევა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესით.²⁶ მოსამართლემ მოსაზრება უნდა გამოთქვას სიფრთხილით, რათა თავიდან აირიდოს იმის განცდა, რომ იგი ლობირებს ხელისუფლებას ან მიანიშნებდეს იმაზე, თუ რა გადანყვეტილებას მიიღებდა კონკრეტული დავის არსებობის პირობებში. გარდა ამისა, ინდივიდუალურ მოსამართლეს გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ მისი მოსაზრებები შეიძლება აღქმული იქნეს არა მის პირად ნააზრევად, არამედ სასამართლო ხელისუფლების პოზიციად.²⁷

20 Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion no. 3 on the Principles and Rules Governing Judges' Professional Conduct, in Particular Ethics, Incompatible Behaviour and Impartiality para. 40.

21 Commentary on the Bangalore Principles of Judicial Conduct (September, 2007) paras. 74-75. Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion no. 3 on the Principles and Rules Governing Judges' Professional Conduct, in Particular Ethics, Incompatible Behaviour and Impartiality para. 40. Judges: Independence, Efficiency, and Responsibilities, Recommendation CM/REC(2010)12 and Explanatory Memorandum, paras. 19 and 27. <https://rm.coe.int/cmrec-2010-12-on-independence-efficiency-responsibilites-of-judges/16809f007d>

22 *Buscemi v. Italy*, no. 29569/95, ECHR 1999-VI, para. 67. Human Rights Council, Report of the Special Rapporteur on the Independence of Judges and Lawyers, 29 April 2019, para. 50.

23 The Bangalore Principles of Judicial Conduct (2002), para. 4.6.

24 Commentary on the Bangalore Principles of Judicial Conduct (September, 2007) para. 136.

25 Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion no. 3 on the Principles and Rules Governing Judges' Professional Conduct, in Particular Ethics, Incompatible Behaviour and Impartiality paras. 30-31.

26 *Baka v. Hungary [GC]*, no. 20261/12, 23 June 2016, para. 171.

27 Commentary on the Bangalore Principles of Judicial Conduct (September, 2007) para. 138. Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion no. 3 on the Principles and Rules Governing Judges' Professional Conduct, in Particular Ethics, Incompatible Behaviour and Impartiality para. 34.

შესაძლებელია, მოსამართლემ გააკრიტიკოს მოქმედი კანონმდებლობა და გამოთქვას შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების სურვილი. ამგვარი გამოხატვა მისაღებია, თუ მას კონსტრუქციული ხასიათი ექნება.²⁸

მოსამართლემ, მისი ღირსების, მორალისა და ღირებულებებიდან გამომდინარე, შეიძლება დააფიქსიროს პოზიცია. მაგალითად, გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში მოსამართლე შეიძლება შეუერთდეს დემონსტრაციას, ეჭიროს საპროტესტო ბანერი ან ხელი მოაწეროს პეტიციას, რომლის მიზანიც არის ომის დაგმობა, მხარი დაუჭიროს გარემოს დაცვას ან სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმებს.²⁹

1.2. მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების უზღუდვის აღვილობის სტანდარტი

საქართველოს კონსტიტუციით აზრისა და მისი თავისუფლად გამოხატვის უფლება დაცულია.³⁰ თუმცა იქვე დადგენილია უფლების შეზღუდვის წინაპირობებიც, რომლის თანახმად, „ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“.

გამოხატვის თავისუფლების უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავად, ის არ არის აბსოლუტური და შეიძლება შეიზღუდოს სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. საქართველოს კონსტიტუციისა და ევროპული კონვენციის მიხედვით, იმისათვის, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა შეესაბამებოდეს კონსტიტუციასა და კონვენციას, იგი უნდა აკმაყოფილებდეს ე.წ. „სამწვეროვან ტესტს“. კერძოდ, უნდა შემოწმდეს კანონით განსაზღვრულობის, ლეგიტიმური მიზნის არსებობის, შეზღუდვის აუცილებლობისა და პროპორციულობის საკითხი.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მოსამართლეს ეკრძალება, როგორც პოლიტიკური პარტიის წევრობა, ისე პოლიტიკური საქმიანობა.³¹ გარდა ამისა, ცალკეული ნორმებით მას ეზღუდება მის განხილვაში მყოფ ან სხვა მოსამართლის მიერ განსახილველ საქმეზე საჯაროდ საუბარი.³² თუმცა, კონსტიტუცია, კონკრეტულად მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის რაიმე განსხვავებულ წესს არ ადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციური დებულებები კონკრეტულად მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით არ არსებობს ევროპის უმეტესი ქვეყნების კონსტიტუციებშიც.³³ შესაბამისად, ჩნდება კითხვა შეიძლება თუ არა ეს მოცემულობა გვაძლევდეს იმის თქმის საშუალებას, რომ მოსამართლე, ისევე თავისუფალია გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობაში, როგორც ნებისმიერი სხვა პირი. ამ კითხვაზე პასუხის გაცემისთვის კი აუცილებელია გაანალიზდეს, რა როლი აქვს მოსამართლეს მიუკერძოებელი და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბებაში.

მოსამართლე საზოგადოებას ისეთ უმნიშვნელოვანეს საქმეში ემსახურება, როგორიც

28 Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion No. 18, The position of the Judiciary and its Relation with the other Powers of State in a Modern Democracy, 16 October 2015, para. 42

29 Commentary on the Bangalore Principles of Judicial Conduct (September, 2007) para. 140.

30 საქართველოს კონსტიტუცია მე-17 მუხლის პირველი პუნქტი პირველი ამავე მუხლის მე-2 პუნქტები.

31 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 63.4.

32 საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები მუხლი 16

33 EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) REPORT ON THE FREEDOM OF EXPRESSION OF JUDGES Adopted by the Venice Commission, at its 103rd Plenary Session (Venice, 19-20 June 2015), para 10. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/2NWYs8I> [ბოლოს ნანახია 27.02.2021]

მართლმსაჯულების განხორციელებაა. მოსამართლე, როგორც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ისე სხვა საქმიანობის განხორციელების დროს საზოგადოების სასამართლოსადმი ნდობის და სასამართლო ავტორიტეტის განმტკიცების მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსამართლის პიროვნებასა და მის საჯარო ქცევას. მოსამართლის ნებისმიერი საჯარო განცხადება თუ ქმედება პირდაპირ ახდენს გავლენას მართლმსაჯულების სისტემაზე, ვინაიდან საზოგადოება მოსამართლეზე დაკვირვებით მიღებულ შთაბეჭდილებას მთლიანად სისტემაზე განაზრცობს. სწორედ ამიტომ არსებობს მოსამართლეთა ეთიკის წესები და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ მიღებული სტანდარტის დამდგენი უამრავი დოკუმენტი, რომლებიც მოსამართლეთა სტატუსს და მათ ქცევას ეხება. შესაბამისად, მოსამართლისგან ქცევის მაღალ სტანდარტს მოითხოვს როგორც საზოგადოება, ისე პროფესიული წრეებიც. ამ მოთხოვნებისა და მოლოდინების გათვალისწინებით, მისი ნებისმიერი ქმედება შეიძლება ფართო კრიტიკის საგანი გახდეს. კანონით დადგენილ ფარგლებში მოსამართლე შეიძლება ასევე მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებასთან, გამოყენებულ არგუმენტებსა და საქმის განხილვის მსვლელობასთან დაკავშირებითაც გააკრიტიკონ.³⁴ მიუხედავად ამისა, მოსამართლე უნდა აცნობიერებდეს მისი თანამდებობის საჯარო ხასიათს, შესაბამისად, არ უნდა იყოს მეტისმეტად მგრძნობიარე კრიტიკისადმი. კრიტიკა იმ პირობისა, რომლებსაც საჯარო თანამდებობა უკავიათ, ჩვეულებრივი მოვლენაა დემოკრატიულ სახელმწიფოში.

მოსამართლისათვის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მოქალაქისათვის, გარანტირებულია გამოხატვის თავისუფლება, თუმცა ამ უფლებების რეალიზაციისას მოსამართლე ვალდებულია გაითვალისწინოს და დაიცვას მოსამართლის თანამდებობის მაღალი სტატუსი. ამ უფლებით არასათანადო სარგებლობის ერთმა შემთხვევამაც კი შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს სასამართლოს ავტორიტეტს.

1.3. ზღვანი სამოსამართლო ეთიკასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში განსაკუთრებით მაღალია საზოგადოების მხრიდან სასამართლო ხელისუფლების მიმართ კრიტიკა. სამოქალაქო საზოგადოება უკვე წლებია მიუთითებს მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ გავლენიან მოსამართლეთა ჯგუფზე, რომელიც ხელს უშლის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ობიექტური სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებას. სამოქალაქო სექტორის კრიტიკა მიემართება, როგორც ზოგადად სასამართლო ხელისუფლების მმართველ რგოლს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, ასევე, გავლენიან მოსამართლეთა ჯგუფთან დაახლოებულ, მოსამართლეებსაც. საინტერესოა, სწორედ ის, თუ რა ფარგლებში შეუძლია მოსამართლეს ამგვარი კრიტიკის მიმართ მოახდინოს რეაგირება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსამართლეები სარგებლობენ კონსტიტუციით მათთვის მინიჭებული გამოხატვის თავისუფლების უფლებით, თუმცა გასათვალისწინებელია, ისიც, რომ უფლებით სარგებლობამ არ უნდა შელახოს სასამართლოს ავტორიტეტი. „მართლმსაჯულების სისტემა ზოგადად, და მათ შორის, თითოეული მოსამართლე, თავისი ყოველდღიური საქმიანობით, უნდა განამტკიცებდეს სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას და ზრუნავდეს, რომ საზოგადოების მხრიდანაც ადეკვატურად იქნეს აღნიშნული აღქმული.“³⁵ სწორედ ამიტომ, მოსამართლეები თავიანთ საქმიანობაში შეზღუდულნი არიან პროფესიული ეთიკის წესებით. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით, იღებს სამოსამართლო ეთიკის წესებს. თავის მხრივ, აღნიშნული ეთიკის წესები ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებს, ასევე სამოსამართლო ეთიკის სფეროში

34 Commentary on the Bangalore Principles of Judicial Conduct, para.39, 2007; ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3rdh72Z> [ბოლოს ნანახია: 27.02.2021]

35 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 6 აგვისტოს, განჩინება საქმე N2ბ/6293-14, ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3skZWFf> [ბოლოს ნანახია 22.02.2021]

მოქმედ საერთაშორისო სამართლებრივ ღირებულებებს, მათ შორის, მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებს.³⁶

შესაბამისად, აუცილებელია დადგინდეს სამართლიანი ბალანსი სამოსამართლო ეთიკასა და მოსამართლის გამოხატვის თავისუფლებას შორის.

სამოსამართლო ეთიკა

სამოსამართლო ეთიკის წესების თანახმად, მოსამართლეს არ ეკრძალება გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობა. თუმცა, „მოსამართლემ აზრის გამოთქმის უფლებით სარგებლობისას არ უნდა შელახოს მართლმსაჯულების ღირსება, მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა.“³⁷ გარდა ამისა, მოსამართლემ თავის განცხადებაში უნდა გამოიჩინოს სათანადო კორექტულობა, არ გამოიყენოს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი სიტყვები და გამოთქმები ან დისკრიმინაციული ტერმინოლოგია. ამასთან, ყურადღება უნდა მიაქციოს თუ სად და რა ვითარებაში აკეთებს განცხადებას, რომ საზოგადოებამ არ აღიქვას იგი მხოლოდ ერთ ორგანიზაციასთან თუ ჯგუფთან მიმართებაში. ასევე, მოსამართლე ყურადღებით უნდა მოეკიდოს საჯარო შეხვედრებზე გამოსვლას, რომ მისი ესა თუ ის მოსაზრება არ ჩაითვალოს პოლიტიკურ მხარდაჭერად ან მიკერძოებად. მოსამართლე არ უნდა ეწეოდეს პოლიტიკურ საქმიანობას[.] ან პოლიტიკური ორგანიზაციის სახელით გამოდიოდეს სიტყვით. მოსამართლე საჯაროდ არ უნდა ამჟღავნებდეს თავის პოლიტიკურ შეხედულებას.³⁸ *შესაბამისად, ეთიკის წესებით კონსტიტუციური უფლებით სარგებლობის გარკვეულ ფარგლებს ადგენს.*

ეთიკის წესებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს ისეთი აზრის გამოხატვისაგან, რომელიც შეიძლება საზოგადოების მხრიდან მიკერძოებულად შეფასდეს. გარდა ამისა, მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში, ყურადღება უნდა მიექცეს მოსამართლის მიერ დაკავებულ პოზიციას, განცხადების შინაარსსა და კონტექსტს.³⁹

მოსამართლემ, როგორც მორალური ღირებულებების მქონე ადამიანი, შესაძლოა რიგ შემთხვევებში, ვალდებულადაც კი მიიჩნიოს თავი გამოთქვას გარკვეული მოსაზრებები. მაგალითად, ისეთ საკითხთან დაკავშირებით, როგორიცაა ქვეყნის ოკუპაცია. მოსამართლეს ასეთ დროს შეუძლია დაუფარავად გამოთქვას საკუთარი პოზიცია და მხარი დაუჭიროს ქვეყნის დეოკუპაციასა და ტერიტორიულ მთლიანობას. შესაბამისად, მოსამართლეს შეუძლია გამოხატოს შემფოთება იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას ან მსოფლიო საზოგადოებას აწუხებს.

რაც შეეხება, კრიტიკას მოსამართლის მიმართ. საზოგადოებას აქვს უფლება საჯაროდ გამოთქვას მოსაზრებები მოსამართლის ნაკლოვანებების და შეცდომების, ასევე მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების თაობაზე.

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში გაიზარდა სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკა სასამართლო ხელისუფლებაში მიმდინარე მოვლენების მიმართ. არასამთავრობო სექტორი უკვე წლებია მიუთითებს პრობლემებზე, რომელიც საფრთხეს უქმნის ქვეყანაში დამოუკიდებელი,

36 ბანგალორის 2001 წლის მოსამართლეთა ქცევის კოდექსის პროექტი (შემდგომში – „ბანგალორის პრინციპები“ მიღებული იქნა მოსამართლეთა ჯგუფის მიერ სასამართლო ხელისუფლების ერთიანობის განმტკიცების მიზნით და იგი გადახედულ იქნა 2002 წლის ნოემბერში, ჰააგაში, მრგვალი მაგიდის შეხვედრის ფარგლებში უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეების შეხვედრის დროს.

37 საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები, მუხლი 15. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/37VeOK0> [ბოლოს ნანახია:28.02.2021]

38 საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები, მუხლი 20, 21, 26,27. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/37VeOK0> [ბოლოს ნანახია:28.02.2021]

39 EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), REPORT ON THE FREEDOM OF EXPRESSION OF JUDGES, Strasbourg, 23 June 2015. პარა 67

მიუკერძოებელი და ობიექტური მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბებას.⁴⁰ სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკის საპასუხოდ, ზოგიერთი გავლენიანი მოსამართლე თუ პოლიტიკოსი სასამართლო ხელისუფლების მიმართ დროდადრო გამოხატვის თავისუფლების რეგულირებას ითხოვს.⁴¹ მათი მოსაზრებით, კრიტიკა აზიანებს სასამართლოს ავტორიტეტს, ხოლო საზოგადოებას უკარგავს სასამართლოსადმი ნდობას. თუმცა, რეალობაში სასამართლოს მიმართ კრიტიკა არა თუ საფრთხეს უქმნის, არამედ ხელს უწყობს სასამართლო სისტემის გაჯანსაღებას. სისტემაში არსებულ პრობლემებთან ეფექტიანი ბრძოლა, პირველ რიგში მის დროულ იდენტიფიცირებას მოითხოვს.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „დემოკრატიულ სახელმწიფოში განუზომლად დიდია მართლმსაჯულების განხორციელებაზე და, განსაკუთრებით, სასამართლოს მიერ მიღებულ აქტებზე საზოგადოებრივი ზედამხედველობის მნიშვნელობა. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობას, განახორციელოს სასამართლო ხელისუფლების საზოგადოებრივი კონტროლი. ხალხს უნდა შეეძლოს ფართო საზოგადოებრივი განხილვის საგნად აქციოს და შეაფასოს სასამართლოს თითოეული გადაწყვეტილება, მასში გაკეთებული განმარტება და დადგენილება. საზოგადოებრივი კონტროლი ხელისუფლების იმ შტოს მიმართ, რომელიც სხვა შტოებისგან დამოუკიდებლად ახორციელებს საქმიანობას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.“⁴²

საზოგადოების მხრიდან სასამართლო გადაწყვეტილებების შეფასება და მათზე კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმა, განსაკუთრებით ცხადად წარმოაჩენს, სასამართლოში არსებულ სისტემურ ხარვეზებსა და ტენდენციებს. თუმცა იმისათვის, რომ მოსამართლემ შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, მან თავი უნდა შეიკავოს საჯარო განცხადების გაკეთებისაგან, რომელიც სასამართლოში მიმდინარე საქმეს ეხება. ასეთ დროს, განსაკუთრებით რთულია, საზოგადოების თვალში, დისკუსიაში ჩართული მოსამართლეების მიმართ, მიუკერძოებლობის აღქმის შენარჩუნება. მაგალითად, ბანგალორის პრინციპები მიუთითებს, რომ „სჯობს ნებისმიერი სკანდალური თავდასხმის იგნორირება, ვიდრე საქმის გაღრმავება და სასამართლოსადმი უპატივცემლობის თაობაზე წარმოების წამოწყება.“⁴³

ტრადიციული მოსაზრების თანახმად, მოსამართლე უნდა დისტანცირდეს საზოგადოებისაგან, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნების მიზნით.⁴⁴ ამის საპირისპირო შეხედულებას აყალიბებს ვენეციის კომისია, რომლის თანახმად „მოსამართლეები არ უნდა იყვნენ იზოლირებულნი საზოგადოებისგან, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, რადგან სასამართლო სისტემა სათანადო დონეზე მხოლოდ მაშინ ფუნქციონირებს, თუ მოსამართლეებს რეალურ ცხოვრებასთან კავშირი აქვთ.“⁴⁵ თუმცა, ასეთ შემთხვევაში საფრთხე არ უნდა შეექმნას მოსამართლის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას.

იმის განსაზღვრისას, თუ რა ფარგლებშია დასაშვები საჯარო განხილვებში მოსამართლის გამოხატვის თავისუფლება, საჭიროა ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორის გათვალისწინება: პირველი, მოსამართლის გამოხატვას ობიექტურად შეუძლია, თუ არა ჩრდილი მიაყენოს მის მიუკერძოებლობას;

40 იხილეთ კვლევა: „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, კორუფციის რისკები სასამართლო სისტემაში, 2018, გვ.18-31. <https://bit.ly/2Pxr21T> [ბოლოს ნანახია 22.02.2021].

41 „საზოგადოების ცილისწამებისგან დაცვა თუ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობა?“, Media Checker, 2019 წლის 12 იანვარი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3f9bNuj>

42 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება N1/4/693,857 საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

43 Commentary on the Bangalore Principles of Judicial Conduct, p.90, 2007; ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3rdh72Z> [ბოლოს ნანახია: 27.02.2021]

44 EUROPEAN COMMISSION FOR THE EFFICIENCY OF JUSTICE (CEPEJ) “Breaking up judges’ isolation, Guidelines to improve the judge’s skills and competences, strengthen knowledge sharing and collaboration, and move beyond a culture of judicial isolation”, December 2019, Strasbourg. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3l9oSED> [ბოლოს ნანახია: 27.02.2021]

45 EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) REPORT ON THE FREEDOM OF EXPRESSION OF JUDGES Adopted by the Venice Commission, at its 103rd Plenary Session (Venice, 19-20 June 2015), para.8. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/2NWyS8l> [ბოლოს ნანახია 27.02.2021]

მეორე, აუცილებელია იმის გათვალისწინება, საჯარო განხილვებში მონაწილეობა აქცევს თუ არა მას პოლიტიკური თავდასხმების ობიექტად ან ხომ არ არის ეს მონაწილეობა მოსამართლის მაღალ სტატუსთან შეუთავსებელი. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს ამგვარ განხილვებში მონაწილეობისაგან.⁴⁶ მნიშვნელოვანია იმის განმარტებაც, რომ თუნდაც პოლიტიკური თავდასხმების საფრთხე გაჩნდეს, თუკი მოსამართლის ქმედება მართლმსაჯულების ინტერესებს ემსახურება, ასეთი გამომხატვის შეზღუდვა დაუშვებელია.

მოსამართლეთა პოლიტიკური საქმიანობა

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პოლიტიკური საქმიანობისაგან მოსამართლის დისტანცირება. ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების კონსტიტუციები არ განსაზღვრავს მოსამართლეთა გამომხატვის თავისუფლების განსხვავებულ წესს, თუმცა ცალსახად განსაზღვრულია მოსამართლეთა მხრიდან პოლიტიკური აქტივობების აკრძალვა.⁴⁷ ქვეყნების უმრავლესობაში, მოსამართლეებს არ შეუძლიათ ღიად გამოხატონ თავიანთი პოლიტიკური შეხედულებები, იყვნენ პოლიტიკური პარტიების წევრები, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკური პარტიების შეკრებებში ან ენეოდნენ რაიმე სახის პოლიტიკურ საქმიანობას, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მათი დამოუკიდებლობა ან იმოქმედოს საზოგადოების ნდობაზე სასამართლო სისტემის მიმართ.⁴⁸

პოლიტიკურ საქმიანობაში არ შეიძლება მოვიაზროთ მხოლოდ პოლიტიკური პარტიის წევრობა, რაც მოსამართლეს საქართველოს კონსტიტუციით ცალსახად ეკრძალება,⁴⁹ არამედ უნდა ვიგულისხმოთ ნებისმიერი განცხადება ან/და პოლიტიკური ხასიათის ნებისმიერი ქმედება, შენიშვნები პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც არ არის კავშირში მის სამოსამართლო საქმიანობასთან და რამაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა. ამა თუ იმ პარტიის ან პოლიტიკური ძალის მხარდასაჭერი მოქმედება თუ განცხადება იმთავითვე ნიშნავს, რომ მოსამართლე საჯაროდ იკავებს ერთ, რომელიმე მხარეს. მიკერძოების შთაბეჭდილება მით უფრო იზრდება, თუ მოსამართლის მოქმედებები კრიტიკის ან გაკიცხვის ობიექტად იქცევა, რაც, როგორც წესი, გარდაუვალია. სხვაგვარად რომ ითქვას, მოსამართლე, რომელიც სასამართლო ხელისუფლების მაღალ პლატფორმას იყენებს პოლიტიკური განცხადებების გაკეთებისათვის, რისკის ქვეშ აყენებს მის მიმართ საზოგადოების ნდობასა და სასამართლო ხელისუფლების მიუკერძოებლობას.⁵⁰ თუმცა, პოლიტიკური საქმიანობის ამგვარი შეზღუდვა არ გამორიცხავს მოსამართლის უფლებას ჰქონდეს პირადი დამოკიდებულება რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიმართ.

აუცილებელია მოსამართლეების პოლიტიკური ხასიათის დებატებში მონაწილეობის მიზანშეწონილობის განხილვაც. იმისათვის, რომ შენარჩუნდეს სასამართლო სისტემისადმი საზოგადოების ნდობა, მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს ისეთი გამომხატვისაგან, რომელიც მას პოლიტიკური შეტევის ობიექტად აქცევს.⁵¹ აქვე კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ თუნდაც პოლიტიკური თავდასხმების საფრთხე გაჩნდეს, თუკი მოსამართლის ქმედება მართლმსაჯულების ინტერესებს ემსახურება ასეთი გამომხატვის შეზღუდვა დაუშვებელია.

46 Commentary on the Bangalore Principles of Judicial Conduct, para.134, 2007; ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3rdh72Z> [ბოლოს ნანახია: 27.02.2021]

47 EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), REPORT ON THE FREEDOM OF EXPRESSION OF JUDGES, Strasbourg, 23 June 2015. პარა 10, 16

48 Independence of judges and lawyers, Report of the Special Rapporteur on the independence of judges and lawyers, Human Rights Council Forty-first session 24 June–12 July 2019; para. 73, ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://undocs.org/A/HRC/41/48> [ბოლოს ნანახია 27.02.2021]

49 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 63.4.

50 Commentary on the Bangalore Principles of Judicial Conduct, para. 65, 2007; ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3rdh72Z> [ბოლოს ნანახია: 27.02.2021]

51 The Opinion no. 3 of the Consultative Council of European Judges, on the principles and rules governing judges' professional conduct, in particular ethics, incompatible behaviour and impartiality, para. 31, Strasbourg, 19 November 2002 . ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3b5LiDi> [ბოლოს ნანახია:27.02.2021]

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის ვითარება და კონტექსტი, რომელიც კონკრეტული განცხადების საფუძველი გახდა. მაგალითად, პოლიტიკური დებატების კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დისკუსიის საშინაო პოლიტიკური ფონი და მნიშვნელობა.⁵² მოსამართლეებმა მაქსიმალურად უნდა აირიღონ ისეთი გარემოებები, რომელიც მათ დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას ეჭვქვეშ დააყენებს, სწორედ, ეს არის მიზეზი იმისა, რომ ევროპის ქვეყანათა უმეტესობამ შეზღუდა მოსამართლეთა პოლიტიკური საქმიანობა.⁵³

თუმცა, ეს არ გულისხმობს იმას, რომ მოსამართლეები სრულად უნდა ჩამოცილდნენ საზოგადოებრივი საკითხების განხილვებში მონაწილეობას. მაგალითად, მოსამართლეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ისეთ განხილვებში, რომელიც ზოგადად სასამართლოს ეხება. უფრო მეტიც, ისინი აქტიურად უნდა იყვნენ ჩაბმული მსგავს საკითხებში და მონაწილეობდნენ ისეთ დისკუსიებში, რომელიც სასამართლო სისტემაში ხარვეზების აღმოფხვრასა და მის უკეთ ფუნქციონირებას ეხება. ზოგადად, სასამართლო სისტემის რეფორმის საკითხების გადაწყვეტა მოსამართლეთა მონაწილეობის გარეშე დაუშვებელია.

მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნა არ გულისხმობს გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობაზე უარის თქმას. ამასთან, მოსამართლეები, საკუთარი მოვალეობის შესრულებისას, მათზე დაკისრებულ ეთიკურ შეზღუდვებს სრულად უნდა აცნობიერებდნენ.

მოსამართლეს შეუძლია გამოთქვას საკუთარი მოსაზრება სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუტის დასაცავად ან ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლის მიზანი ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა და სამართლის უზენაესობის მხარდაჭერაა. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეს სამოსამართლო საქმიანობის ფარგლებში ეზღუდება საჯარო გამოსვლები, თუ მის მიმართ ადგილი აქვს რაიმე სახის ბენოლას, მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევას, ასეთ შემთხვევაში მას შეუძლია გამოიყენოს ყველა გონივრული გზა, მათ შორის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და გამოთქვას საკუთარი პოზიცია. ასეთი ქმედება არა მხოლოდ შეესაბამება მოსამართლეთა ეთიკის წესებს, არამედ დაიცავს როგორც ინდივიდუალური მოსამართლის, ისე სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას.

მოსამართლეს შეუძლია, გამოთქვას თავისი მოსაზრება ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რაც სასამართლოების გამართულ ფუნქციონირებას ან/და სასამართლოს დამოუკიდებლობას ეხება. ამის საუკეთესო მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ 2020 წლის იანვარში პოლონეთში განვითარებული მოვლენები. კერძოდ, პოლონელი მოსამართლეების, და შემდგომში ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მოსამართლეთა გაერთიანებების პროტესტი მოჰყვა, პოლონეთის ხელისუფლების ახალ კანონს, რომლის საფუძველზეც, ფაქტობრივად შესაძლებელი გახდა პოლონელი მოსამართლეების დისციპლინირება მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამო.⁵⁴ ევროპის 20 ქვეყნის მოსამართლეები შეუერთდნენ პოლონელი კოლეგებისს ე.წ. „მდუმარე მარშს“. ეს იყო სოლიდარობის უპრეცედენტო შემთხვევა, რომლის მიზანი, არა მხოლოდ პოლონეთის, არამედ ევროკავშირის წევრ ზოგიერთ სახელმწიფოში, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის დაცვა იყო. ევროპული სასამართლო ასოციაციების წარმომადგენლების ასეთი პროტესტით, ფაქტობრივად მოსამართლეები აცხადებენ, რომ მათ უარი თქვას, ტრადიციულ მიდგომაზე, რომ მოსამართლეებმა მხოლოდ „გადაწყვეტილებებით უნდა ისაუბრონ“.⁵⁵

52 EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) REPORT ON THE FREEDOM OF EXPRESSION OF JUDGES Adopted by the Venice Commission, at its 103rd Plenary Session (Venice, 19-20 June 2015), para. 77; ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/2NWYs8I> [ბოლოს ნანახია 27.02.2021]

53 General comment No. 25 (1996) on participation in public affairs and the right to vote, para. 12. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3raWZOC> [ბოლოს ნანახია 27.02.2021]

54 იხ. სტატია, EU challenges Poland over judicial independence, The Guardian, October 2019; ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/38422sG> [ბოლოს ნანახია 02.03.2021]

55 იხ. სტატია, Judges join silent rally to defend Polish justice, The Guardian, January 2020; ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3dXiSNO> [ბოლოს ნანახია 02.03.2021]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თუ მოსამართლე გამოთქვამს მოსაზრებებს, ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც მის სამოსამართლო საქმიანობას უკავშირდება და საუბრობს, როგორც სასამართლოს წარმომადგენელი, კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლება გარკვეულ ფარგლებში ექცევა. ასეთ დროს, მოსამართლემ მხედველობაში უნდა მიიღოს სამოსამართლო ეთიკის წესები, რომელიც მას სასამართლოს მიმართ ნდობის შენარჩუნებას ავალდებულებს. შესაბამისად, სასამართლოს მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა გადაწონის ინდივიდუალური მოსამართლის გამოხატვის თავისუფლებას.

თუმცა პრაქტიკაში საკმაოდ რთულია ზღვარის გავლება, ერთი მხრივ, მოსამართლის კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებასა, და მეორე მხრივ, იმ გამოხატვას შორის, რომელიც სამოსამართლო ფუნქციების განხორციელებას უკავშირდება. მოსამართლის განცხადებები შეიძლება არ იყოს დაკავშირებული მის სამოსამართლო საქმიანობასთან, თუმცა მისი პირადი შეხედულებები შეიძლება გახდეს იმის მიზეზი, რომ მოსამართლე გარკვეული ტიპის საქმეების განხილვას ჩამოცილდეს. საბოლოოდ, მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციური გარანტიების ფარგლების განსაზღვრისთვის, აუცილებელია დადგინდეს აშკარა კავშირი გამოთქმულ მოსაზრებებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი კავშირი აშკარა არ არის, უპირატესობა მოსამართლის გამოხატვის თავისუფლებას უნდა მიენიჭოს.⁵⁶

მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლება სოციალურ მედიაში

სოციალური მედია მრავალი ადამიანისა და საზოგადოების სოციალური ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. დღესდღეობით, სოციალური მედიის მომხმარებელთა რაოდენობა სულ უფრო მზარდია და წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის. თუმცა, მოსამართლის თანამდებობისა და საზოგადოების მხრიდან მართლმსაჯულებისადმი ნდობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოსამართლეთა მიერ სოციალური მედიის გამოყენებამ შესაძლოა გარკვეული ეთიკური რისკები წარმოშვას.

მოსამართლეების მიერ სოციალური მედიის გამოყენების საკითხი საკმაოდ კომპლექსურია. ერთი მხრივ, მოსამართლეების მიერ სოციალური მედიის გამოყენებამ შეიძლება საზოგადოებაში მიკერძოებულობის აღქმა გააჩინოს. მეორე მხრივ, სოციალურ მედიის გამოყენებით შესაძლებელია უფრო მეტად ხელმისაწვდომი და საზოგადოებისთვის უფრო გასაგები გახადეს ის საქმე, რომელსაც მოსამართლეები ემსახურებიან.

ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის გამოხატვის თავისუფლება, ისევე დაცული სოციალურ მედიაში, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში.⁵⁷ თუმცა, მოსამართლეების პირადი და პროფესიული ქცევა უფრო მკაცრ შეზღუდვებს ექვემდებარება. ტრადიციული და ბოლო დრომდე ოფიციალური მოსაზრება იყო, რომ მოსამართლეები არ უნდა მონაწილეობდნენ საჯარო დისკუსიებში სასამართლოს დარბაზის გარეთ. თუმცა, დღესდღეობით ეს მიდგომა შეიცვალა.

უსაფუძვლო იქნება იმის მოლოდინი, რომ მოსამართლეები სრულად ჩამოცილდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებას. უფრო მეტიც, მოსამართლის სრული იზოლაცია იმ საზოგადოებიდან, რომელშიც ცხოვრობს დააზიანებს მართლმსაჯულების ინტერესებს. სწორედ, ამიტომ ციფრულ ეპოქაში, მოსამართლეებისთვის სოციალური მედიით სარგებლობის აკრძალვა, გაუმართლებელი და პრაქტიკულად შეუძლებელია.⁵⁸

56 EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) REPORT ON THE FREEDOM OF EXPRESSION OF JUDGES Adopted by the Venice Commission, at its 103rd Plenary Session (Venice, 19-20 June 2015), para.41. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/2NWyS8l> [ბოლოს ნანახია 27.02.2021]

57 Human Rights Council resolution 38/7. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://bit.ly/3sZNOfl> [ბოლოს ნანახია 03.03.2021]

58 Independence of judges and lawyers, Report of the Special Rapporteur on the independence of judges and lawyers*, Human Rights Council Forty-first session 24 June–12 July 2019; para. 79, ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://undocs.org/A/HRC/41/48> [ბოლოს ნანახია 03.03.2021]

რამდენიმე ქვეყანამ შეიმუშავა კონკრეტული კანონმდებლობა და ეთიკის სტანდარტები, რომელიც სოციალურ ქსელში მოსამართლეთა ქცევას არეგულირებს.⁵⁹ თუმცა, ისეთ ქვეყნებში, სადაც მსგავსი საკანონმდებლო მოწესრიგება არ არსებობს, დაწყებულია აქტიური დისკუსიები სოციალურ მედიაში მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებთან დაკავშირებით.⁶⁰ თუმცა, საყოველთაოდ აღიარებული ბანგალორის ქცევის წესები განსაზღვრავს იმ ძირითად ღირებულებებს, რომლებიც თითოეული მოსამართლის სამუშაო და პირად ცხოვრებას წარმართავს. შესაბამისად, სოციალური მედიის გამოყენებისას, მოსამართლეები, ძირითადად სწორედ ბანგალორის პრინციპებით უნდა ხელმძღვანელობდნენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია განვსაზღვროთ, მოსამართლეთა მიერ სოციალური მედიით სარგებლობის ძირითადი პრინციპები:

- მოსამართლის მიერ გამოქვეყნებულმა ნებისმიერმა განცხადებამ თუ კომენტარმა უნდა განამტკიცოს საზოგადოების ნდობა მართლმსაჯულებისადმი, იყოს შესაბამისობაში თანამდებობის ღირსებასთან, სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან.
- მოსამართლეები უნდა უზრუნველყოფდნენ, რომ მათი პირადი შეხედულებები თუ მრწამსი უარყოფითად არ აისახოს მათ სამსახურეობრივ მოვალეობაზე, რამაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს მათი მიუკერძოებლობა.
- სოციალურ ქსელში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრებით, ყოველთვის უნდა გამოიჩინონ პატივისცემა საკუთარი თანამდებობის მიმართ, რათა შეინარჩუნონ და განავითარონ საზოგადოების ნდობა სასამართლო სისტემისადმი.
- ყოველთვის თავი უნდა შეიკავონ ისეთი ონლაინ აქტივობისგან, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, დააზიანებს საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულებისადმი.⁶¹

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ მოსამართლის მიერ სოციალური ქსელით სარგებლობა ეფუძნება სწორედ იმ პრინციპებს, რაც ისედაც განსაზღვრავს მოსამართლის ქცევას, ყოველდღიურ, პირად ურთიერთობებში. ეს იმას ნიშნავს, რომ სოციალური მედიაში, ისევე როგორც სხვა შემთხვევებშიც, მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს იმგვარი მოსაზრებების გაჟღერებისგან, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს თანამდებობის ღირსება, გამოიწვიოს ინტერესთა კონფლიქტი და შელახოს მართლმსაჯულების სისტემისადმი საზოგადოების ნდობა.⁶²

59 ავსტრალია, ალბანეთი, უნგრეთი, მონტენეგრო, სლოვენია, გაერთიანებული სამეფო (ჩრდილოეთ ირლანდია და შოტლანდია)

60 მათ შორის არის საქართველოც, სადაც რამდენჯერმე დაიმართა საერთაშორისო ფორუმი თემაზე „გამოხატვის თავისუფლება და სამოსამართლო ეთიკა“. ფორუმს ორგანიზებას უწევს და მხარს უჭერს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური, ევროპის საბჭო, ევროკავშირის სასამართლო მხარდაჭერის პროექტი და USAID-ის პროგრამა კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში.

61 Independence of judges and lawyers, Report of the Special Rapporteur on the independence of judges and lawyers*, Human Rights Council Forty-first session 24 June–12 July 2019; para. 80, ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://undocs.org/A/HRC/41/48> [ბოლოს ნანახია 03.03.2021]

62 მოსამართლეთა მიერ სოციალური ქსელით სარგებლობის დეტალური სახელმძღვანელო: NON-BINDING GUIDELINES ON

THE USE OF SOCIAL MEDIA BY JUDGES, United Nations (Office on Drugs and Crime) შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://bit.ly/3bWVYUg> [ბოლოს ნანახია: 03.03.2021]

1.4. მოსამართლეთა საჯარო ქმევა პრაქტიკაში და მისი შესაბამისობა საერთაშორისო ალიანსულ სტანდარტებთან

ზემოთ განხილულია, საერთაშორისო თუ ადგილობრივი კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტი, რომელიც მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლებას შეეხება. შემაჯამებლად შეიძლება ითქვას, რომ მოსამართლისთვის, ისევე როგორც ყველა ადამიანისთვის, კონსტიტუციით გარანტირებულია გამოხატვის თავისუფლება. თუმცა, მოსამართლის როლისა და მართლმსაჯულებისადმი საზოგადოების ნდობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მხედველობაშია მისაღები მოსამართლეთათვის დაწესებული ეთიკური შეზღუდვები. წინამდებარე თავში განხილულია რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების ფარგლების უკეთ გასაანალიზებლად.

ლევან მურუსიძე თბილისის სააპელაციო სასამართლოს უვადო მოსამართლეა. მურუსიძე სასამართლოში არსებული გავლენიანი ჯგუფის ერთ-ერთ ლიდერად მიიჩნევა.⁶³ იგი ბოლო წლების განმავლობაში, ყველაზე ხშირად ჩნდებოდა მედიაში და გამოხატავდა საკუთარ პოზიციას, მათ შორის, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ის რამდენჯერმე მონაწილეობდა საჯარო დებატებში, პოლიტიკოსებისა თუ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა პირისპირ. უნდა აღინიშნოს, რომ 2013-2017 წლებში ლევან მურუსიძე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი და მდივანი იყო, თუმცა ამ თავის მიზნებისთვის საინტერესოა, მისი როგორც ინდივიდუალური მოსამართლის და არა საბჭოს წევრის მიერ გაკეთებული განცხადებები. შესაბამისად, ამ თავში განხილული მაგალითები მისი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის პერიოდს არ მოიცავს.

ლევან მურუსიძეს არაერთი გახმარებული საქმე აქვს განხილული, მათ შორისაა, გირგვლიანის მკვლელობის საქმე. ამ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ *გაოცნებას იწვევდა შიდა სასამართლოებთან ერთად სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა განშტოების ხმაშენყობილი მოქმედება, რათა ამ შემზარავი მკვლელობის საქმეზე როგორმე არ განხორციელებულიყო მართლმსაჯულება*. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი, როდესაც ლევან მურუსიძემ საჯაროდ ისაუბრა მის მიერ განხილულ საქმეზე, მისი საჯარო დებატია ამ საქმეში დაზარალებული მხარის ადვოკატ შალვა შავგულიძესთან. ამასთან, იმ პერიოდისთვის, შავგულიძე შუალედურ საპარლამენტო არჩევნებში მაჟორიტარობის კანდიდატი იყო და აქტიურ წინასაარჩევნო კამპანიას აწარმოებდა.⁶⁴ *მსგავსი პრეცედენტი ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში არ მომხდარა*.

სასამართლოს მიმართ კრიტიკა ამ პერიოდში განსაკუთრებით მძაფრი იყო. კრიტიკული იყო, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები და კვლევები, რომლებიც სასამართლოში არსებულ კორუფციულ რისკებზე და არაჯანსაღ გავლენებზე საუბრობდა.⁶⁵ საინტერესოა, რომ ლევან მურუსიძე საკუთარ თავს სასამართლოს ლიდერს უწოდებდა⁶⁶ და როგორც სასამართლოს ლიდერი თავს ვალდებულად მიიჩნევდა დაეცვა მართლმსაჯულების ინტერესები. ერთი მხრივ, შესაძლოა არსებობდა მართლმსაჯულების ინტერესების დაცვის მიზანი, რასაც დებატების დროს არაერთხელ გაუსვა ხაზი თავად მურუსიძემ. მეორე მხრივ, შესაფასებელია, რამდენად მოახერხა მან გაჟღერებული განცხადებებით მართლმსაჯულების ინტერესების დაცვა.

დებატების დროს ლევან მურუსიძე არ უარყოფდა, რომ იგი ფაქტობრივად ჩაება პოლიტიკურ საქმიანობაში: *„სწორედ ის პოლიტიკური ძალები, რომელთან ერთადაც თქვენ ხართ გაერთიანებული, იძახოდნენ, რომ გირგვლიანის საქმეში მთავარი დამნაშავე ყოფილა ლევან მურუსიძე [...] პირადად*

63 იხ. სტედია მონიტორის ფილმი „მოსამართლე მურუსიძე - რეჟიმის მსხვერპლი თუ სისტემის მსახური“ ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/30bEHkx> [ბოლოს ნანახია 04.03.2021]

64 იხ. საჯარო დებატები „გირგვლიანის საქმის ადვოკატი და მოსამართლე ერთმანეთის პირისპირ“ ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3kKKqY6> [ბოლოს ნანახია: 04.03.2021]

65 იხ. სტატია „სახელმწიფო დეპარტამენტის კრიტიკული ანგარიში საქართველოს სასამართლო სისტემის შესახებ“, ლიბერალი, 2019 ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://bit.ly/3uYzAIP> [ბოლოს ნანახია 27.02.2021]

66 იხ. რადიო თავისუფლების სტატია „სასამართლოს „კლანი“ თუ ლიდერი მოსამართლეები?“, 2018. ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://bit.ly/3eflMNZ> [ბოლოს ნანახია: 05.03.2021]

ჩემი, როგორც მოსამართლის ვალდებულებაა, დავიცვა სასამართლო კორპუსი და მე თუ არ დავიცავი ჩემი თავი, შესაბამისად, ვერ დავიცავ სასამართლო კორპუსს და თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ დღეს სასამართლო ჩაება პოლიტიკაში, ეს არ არის სასამართლოს ბრალი, ეს არის თქვენი, პოლიტიკოსების ბრალი.”

ამავე, დებატებში მან პირდაპირ განაცხადა: „ძალიან დიდი ძალისხმევა განვახორციელე, რომ „ნაციონალური მოძრაობიდან“ მართლმსაჯულების სათავეები გამომეტანა და სასამართლო დამდგარიყო რეალურად დამოუკიდებლობის გზაზე. [...] მე ვერ გავაკეთებ იმას, რომ ყველაფერს ხაზი გადავუსვა და ვერ მივცემ კომფორტს ვერც პოლიტიკურ პარტიებს და ვერც არასამთავრობო ორგანიზაციებს, როდესაც სასამართლომ ამხელა წარმატებას მიაღწია, რომ მე ავდგე და გადავდგე.“

დებატების უდიდესი ნაწილი, სწორედ გირგვლიანის საქმის განხილვას ეძღვნებოდა. მურუსიძე, სტასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაში არსებული შეფასების მიუხედავად, კვლავ ამტკიცებდა, რომ მას არ შეეძლო სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება და გადაწყვეტილება კანონიერი იყო.

ვენეციის კომისიის დასკვნაში ვკითხულობთ: „პოლიტიკური ხასიათის დებატებში, რომელშიც მოსამართლე მონაწილეობს, მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების დასაშვები ფარგლების შეფასებისას, მნიშვნელოვანია შიდა პოლიტიკური ფონი. მაგალითად, დებატების პოლიტიკური და სამართლებრივი კონტექსტი, მოიცავს თუ არა დისკუსია საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებს. ამასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სადავო განცხადება გაკეთებული არის თუ არა საარჩევნო კამპანიის კონტექსტში.“⁶⁷

საჯარო დებატებში ჩართულობის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ორი ფაქტორი. პირველი, მოსამართლის დებატებში მონაწილეობით შეიძლება თუ არა ეჭვქვეშ დადგეს მისი მიუკერძოებლობა, და მეორე შეიძლება თუ არა ასეთმა მონაწილეობამ მოსამართლე აქციოს პოლიტიკური შეტევის ობიექტად. ორივე შეთხვევაში მოსამართლემ თავი უნდა აარიდოს მსგავს დებატებში მონაწილეობას.⁶⁸

მურუსიძემ დებატების დროს გაკეთებული განცხადებებით არ დატოვა მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მოსამართლის აქტმა, რომელიც მართლმსაჯულების ინტერესებს იცავდა. ამის საპირისპიროდ, მის მიერ გაჟღერებული პოზიციები სრულად ემთხვეოდა ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებს,⁶⁹ რომლებიც შალვა შავგულიძის, როგორც მაჟორიტარობის კანდიდატის დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად.

საინტერესოა, რომ ტელეკომპანია „იმედმა“, მაჟორიტარობის ოპოზიციურ კანდიდატს შალვა შავგულიძეს, მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში, არჩევნების პირველი ტურის შემდეგ, 7 სიუჟეტი მიუძღვნა. ამ მასალებში მის ირგვლივ უარყოფითი კონტექსტის შექმნის მიზნით, შავგულიძე ყოფილ სახელისუფლებო პარტიასთან „ნაციონალურ მოძრაობასთან“ იყო გაიგივებული. სწორედ, ამ დისკრედიტაციის ე.წ. კამპანიის ნაწილად შეფასდა ის საჯარო დებატი, რაც შავგულიძესა და მურუსიძეს შორის შედგა.⁷⁰

67 EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) REPORT ON THE FREEDOM OF EXPRESSION OF JUDGES Adopted by the Venice Commission, at its 103rd Plenary Session (Venice, 19-20 June 2015), para.84. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/2NWYs8l> [ბოლოს ნანახია: 27.02.2021]

68 The Opinion no. 3 of the Consultative Council of European Judges, on the principles and rules governing judges' professional conduct, in particular ethics, incompatible behaviour and impartiality, para. 31, Strasbourg, 19 November 2002 . ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3b5LiDi> [ბოლოს ნანახია: 27.02.2021]

69 იხ. სტატია „შავგულიძემ დაარღვია და არა მურუსიძემ – ივანიშვილი გირგვლიანის საქმეზე“, ნეტგაზეთი, 2019; ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://bit.ly/3sSwn5u> [ბოლოს ნანახია: 05.03.2021]

70 იხ. ბლოგი „კანდიდატი, რომელმაც ღირებულებებს უღალატა - შალვა შავგულიძე “იმედის” რაკურსით“, მედიაჩექერი, 2019; ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://bit.ly/3kNtuQB> [ბოლოს ნანახია: 05.03.2021]

მურუსიძე, ამ დებატებში მონაწილეობის გამო, პოლიტიკური შეტევის ობიექტად იქცა. გასათვალისწინებელია, ისიც, რომ დებატები მთაწმინდის შუალედური არჩევნების საარჩევნო კამპანიის პერიოდში გაიმართა. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც უმრავლესობის,⁷¹ ისე ოპოზიციის წარმომადგენლებმა⁷² ლევან მურუსიძე პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის გამო გააკრიტიკეს და სამოსამართლო ეტიკა შეახსენეს, რომელიც მოსამართლეს პოლიტიკურ განცხადებებსა და პროცესებში ჩართვას უკრძალავს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წინასაარჩევნო პერიოდში გამართულ საჯარო დებატებში მონაწილეობით მოსამართლე ლევან მურუსიძემ არ დატოვა მიუკერძოებელი და ობიექტური მხარის შთაბეჭდილება, რომლის მიზანი მართლმსაჯულების ინტერესების დაცვა იყო. ამასთან, ამ დებატების შედეგომ გამოწვეულ პოლიტიკურ პროცესებს არ შეიძლება დადებითი გავლენა ჰქონოდა საზოგადოების მხრიდან სასამართლო სისტემისადმი ნდობაზე.

სერგო მეთოფიშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარეა. მეთოფიშვილის ე.წ. „სასამართლო კლანის“ ერთ-ერთი გავლენიანი მოსამართლეა.

მეთოფიშვილი, მოსამართლეთა შორის სოციალური ქსელის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მომხმარებელია. აღსანიშნავია, რომ მისი საჯარო განცხადებები ხშირად დისკრიმინაციული და შეურაცხმყოფელია.⁷³ მეთოფიშვილი აკრიტიკებს და პოლიტიზირებულს უწოდებს არასამთავრობო სექტორს. ასევე, არ მალავს მის უარყოფით დამოკიდებულებას, სასამართლოს არსებული სისტემის მიმართ, კრიტიკულად განწყობილ პოლიტიკოსებთან დაკავშირებით. განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩევა საბჭოს არამოსამართლე წევრის ნაზი ჯანეზაშვილის მიმართ.



Sergo Metopishvili

ჩვენი პოლიტიზირებული NGO-ების, ზოგიერთი პოლიტიკოსის და პოლიტიზირებული პოპულისტებისა და დემაგოგების (მაგალითად, დოლიძე და ჯანეზაშვილი) მიუხედავად და მიუხედავად მათ მიერ გაუთავებელი ლანძვისა, შეურაცხმყოფელი და ცილისწამებლური განცხადებებისა, მიუხადავად მათი ფეიკ ნიუსებისა, ფეიკ კვლევებისა და ფეიკ ანგარიშებისა, ჩვენ შევძელით და წარმატებით ვაგრძელებთ სასამართლო სისტემის რეფორმირებას!!!

ფეისბუქ პოსტი ⁷⁴
2020 წლის 12 ივნისი

71 იხ. სტატია „ჩუგოშვილი მურუსიძე-შავგულიძის დებატზე: პოლიტიკურ დებატებში მოსამართლის ჩართვა ცუდი იდეა“, ტაბულა, 2019 ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://bit.ly/2PsAney> [ბოლოს ნანახია: 05.03.2021]

72 იხ. სტატია „მურუსიძე ჩამოყალიბდა „ქართული ოცნების „ პოლიტიკურ აქტივისტად – ელენე ხოშტარია“, ინტერნეტ გამოცემა news.ge, 2019; ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://bit.ly/3sOW3A0> [ბოლოს ნანახია: 05.03.2021]

73 „კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის დამოუკიდებელ ინსპექტორს გენდერული შევიწროების შემთხვევების შესწავლისკენ მოუწოდებს“, 2018 ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://bit.ly/3qgIMhX> [ბოლოს ნანახია: 05.03.2021]

74 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის (2016-2020 წლებში), სერგო მეთოფიშვილის ფეისბუქ პოსტი, 2020 წლის 12 ივნისი ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://bit.ly/2MNEtgn> (screenshot: <https://cutt.ly/3vRF74p>)[ბოლოს ნანახია: 05.03.2021]



Sergo Metopishvili

მხოლოდ ის ფაქტი, რომ NDI-ის მიერ ჩატარებული კვლევების დროს სავსე სამუშაოებს ასრულებენ კომპანიები, სადაც დამფუძნებელი, დირექტორი ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არიან ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიდერები ან მათი ცოლები, ყველანაირ ნდობას უკარგავს ასეთ კვლევებს! რომელ ობიექტურობაზე შეიძლება აქ საუბარი?!

ფეისბუქ პოსტი⁷⁵
2020 წლის 18 იანვარი

შენიშვნა: მეთოფიშვილი ამ განცხადებით დაუფარავად ავლენს მის უარყოფით დამოკიდებულებას ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართ.



Sergo Metopishvili

როდესაც მოქმედი სახალხო დამცველი, ე.წ. “ობიექტური” NGO-ები და ე.წ. “სამართლის ექსპერტები” დოლიდის კანონდარღვევებზე თვალებს ხუჭავენ, მახსენდება შემდეგი - ამბობენ, რომ როდესაც ფრანკლინ რუზველტს მოუყვინნ ნიკარაგუას დიქტატორი მმართველის ანასტასიო სომოსას მიერ ჩადენილ საშინელებებზე, მან უპასუხა: „შესაძლოა სომოსა ძალღიშვილია, მაგრამ ის ჩვენიანი ძალღიშვილია!“

ფეისბუქ პოსტი⁷⁶

ზემოაღნიშნული განცხადებები სრულად წინააღმდეგობაშია მოსამართლეთა მიერ სოციალური ქსელებით სარგებლობასთან დაკავშირებით დადგენილ საერთაშორისო სტანდარტთან, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსამართლემ ყოველთვის თავი უნდა შეიკავოს ისეთი ონლაინ აქტივობისგან, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას. მეთოფიშვილი საკუთარი განცხადებებით, აშკარად და დაუფარავად გამოხატავს უარყოფით დამოკიდებულებას სასამართლოსადმი კრიტიკულად განწყობილი ნებისმიერი აქტორის მიმართ. ამით ცხადია, საზოგადოების თვალში მიუკერძოებელი, ობიექტური და დამოუკიდებელი მოსამართლის აღქმას არ ტოვებს. საბოლოოდ კი, **მსგავსი განცხადებები აზიანებს მართლმსაჯულებისადმი საზოგადოების ნდობას.**

75 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის (2016-2020 წლებში), სერგო მეთოფიშვილის ფეისბუქ პოსტი, 2020 წლის 12 ივნისი ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://bit.ly/3rjUgCT> (screenshot: <https://cutt.ly/dvRSHK7>)[ბოლოს ნანახია: 05.03.2021]

76 აღნიშნული პოსტი ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://bit.ly/3bgoFff> (screenshot: <https://cutt.ly/gvRSeWM>) [ბოლოს ნანახია: 05.03.2021]

1.5. მოსამართლეთა მიერ გამოხატვის თავისუფლებით არასათანადო სარგებლობის შედეგები

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსამართლე სარგებლობს კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების უფლებით. თუმცა, იგი ამ უფლებით სარგებლობისას შეზღუდულია პროფესიული, ეთიკური წესებით, რადგან გამოხატვის თავისუფლების არასათანადო სარგებლობამ შეიძლება შეასუსტოს საზოგადოების ნდობა სასამართლო სისტემისადმი და შელახოს მართლმსაჯულების ინტერესი.

გარდა ამისა, ბანგალორის პრინციპების თანახმად, მოსამართლე შეძლებისდაგვარად უნდა იკავებდეს თავს ისეთი ქმედებებისაგან, რომლებიც შეიძლება გახდეს მისთვის სასამართლო სხდომებში მონაწილეობის და სასამართლო საქმეებზე გადაწყვეტილების გამოტანის უფლების ჩამორთმევის საფუძველი.⁷⁷ მაგალითად, როდესაც მოსამართლე მუდმივად, როგორც პირად, ისე საქმიან ურთიერთობებში, არ ერიდება გამოხატოს უარყოფითი დამოკიდებულება რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიმართ, ბუნებრივია ნებისმიერი პირისთვის, რომელიც ამ პოლიტიკური პარტიის წევრი, მისი ოჯახის წევრი ან თუნდაც ამომრჩეველია შეიძლება წარმოიშვას აცილების საფუძველი ამ მოსამართლის მიმართ. მართალია არის შემთხვევები, როდესაც მხარეთა უფლებების დასაცავად, ობიექტური განხილვის უზრუნველსაყოფად და ზოგადად, სასამართლოს მიმართ ნდობის შესანარჩუნებლად გარდაუვალია მოსამართლის აცილება, თუმცა, მოსამართლეების ხშირმა აცილებამ შესაძლოა, მოსამართლისადმი უარყოფითი განწყობა წარმოშვას და დამატებით ტვირთად დააწვეს მის კოლეგებს. შესაბამისად, მოსამართლემ ისე უნდა წარმართოს პირადი და საქმიანი ურთიერთობები, რომ მინიმუმამდე შეამციროს მისი სამოსამართლო მოვალეობებთან კოლიზიის შესაძლებლობა.⁷⁸

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოსამართლის მიერ გამოხატვის თავისუფლების ფარგლების გაცდენა შეიძლება გახდეს მისი დისციპლინირების საფუძველი.⁷⁹ თუმცა, ეს არ შეიძლება ისე განიშარტოს, რომ ყოველი დარღვევა მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობას უნდა იწვევდეს.

კვლევაში მოსამართლეების მიერ აზრის არაეთიკური გამოხატვის არაერთი შემთხვევა არის გაანალიზებული. თუმცა, რასაკვირველია, გამოხატვის თავისუფლების სარგებლობისას ყოველგვარი ეთიკური წესების დარღვევა, არ შეიძლება მოსამართლის დისციპლინირების საფუძველი გახდეს. შესაბამისად, აუცილებელია მკაფიო ზღვარის გავლება, ერთი მხრივ, მოსამართლის მიერ ეთიკური ვალდებულებების დარღვევასა და მეორე მხრივ, მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენას შორის.

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა არაერთხელ გამხდარა მწვავე კრიტიკის საგანი. მათ შორის, პრობლემად ფასდებოდა ეთიკის ნორმების დარღვევა, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ცალკე საფუძვლის არსებობა.⁸⁰ საბოლოოდ, საერთო სასამართლოების შესახებ კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, კანონს დაემატა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოება“ თავი, რომელშიც დეტალურად განისაზღვრა მოსამართლეთა დისციპლინირების საფუძვლები. კანონის თანახმად, ნათლად ჩამოყალიბდა ის ეთიკური გადაცდომები, რომელთა დარღვევაც მოსამართლისათვის დისციპლინური

77 Commentary on the Bangalore Principles of Judicial Conduct, para.66, 2007; ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3rdh72Z> [ბოლოს ნანახია: 27.02.2021]

78 Commentary on the Bangalore Principles of Judicial Conduct, para.66, 67. 2007; ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3rdh72Z> [ბოლოს ნანახია: 27.02.2021]

79 საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ მუხლი 75¹

80 იხ. „კოალიციის საკანონმდებლო წინადადება მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემასთან დაკავშირებით“ ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3cFJ5PZ> [ბოლოს ნანახია: 27.02.2021]

პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი შეიძლება გახდეს.⁸¹ მაგალითად, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი შეიძლება იყოს მოსამართლის მიერ აზრის საჯაროდ გამოხატვა სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე, ასევე მოსამართლის მიერ პოლიტიკური საქმიანობის განხორციელება, საარჩევნო სუბიექტის ნებისმიერი ფორმით საჯაროდ მხარდაჭერა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მოსამართლის დისციპლინირება, მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მის მიერ გამოხატვის თავისუფლების სარგებლობა არღვევს იმ კონკრეტულ ეთიკურ დანაწესს, რაც კანონმდებლობით დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია.

მეტი სიცხადისთვის, მაგალითად დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება შეფასდეს ლევან მურუსიძის საჯარო დებატებში მონაწილეობა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, შალვა შავგულიძის წინააღმდეგ, სადაც მურუსიძე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ შეფასებით მმართველი პარტიის სასარგებლო პოლიტიკურ პოზიციებს აულერებდა.⁸² ასევე, საბჭოს წევრების მიერ სასამართლოში მიმდინარე საქმეზე პოზიციების წინასწარ დაფიქსირება.⁸³ შესაბამისად, აუცილებელია მკაფიოდ ითქვას, რომ კვლევაში მოყვანილი არაეთიკური გამოხატვა, რომელსაც ხშირ შემთხვევაში მიმართავდნენ მოსამართლეები, არ შეიძლება დისციპლინურ გადაცდომად შეფასდეს და იგი მხოლოდ ეთიკური წესების დარღვევად უნდა ჩაითვალოს.

მოსამართლეს არ უნდა ჰქონდეს მოლოდინი, რომ მისი ნებისმიერი გამოხატვა და პოზიციის დაფიქსირება მის დისციპლინირებას გამოიწვევს. თუკი ჩავთვლით, რომ არაეთიკური გამოხატვის ნებისმიერი შემთხვევა დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს, შესაძლებელია ამას „მსუსხავი ეფექტი“ ჰქონდეს მოსამართლეების მიმართ და სისტემაში განსხვავებული აზრის წარმოქმნას და შემდეგ მის რეალიზებას შეუშალოს ხელი. მითუმეტეს, რომ ქართული მართლმსაჯულების სისტემაში მოსამართლეთა მხრიდან კრიტიკული მოსაზრებების გამოხატვა ისედაც არ არის წახალისებული და ეს საკითხი პრობლემას წარმოადგენს. ამის მაგალითია, ასოციაცია „მოსამართლეთა ერთობის“⁸⁴ წევრების სასამართლო სისტემიდან განდევნა, რომლებიც სასამართლოში არსებული ვითარების მიმართ კრიტიკულ პოზიციებს აფიქსირებდნენ. უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანის მიმართ დისციპლინური დევნაც კი დაიწყო, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მოსამართლეთა კორპუსიდან კრიტიკული აზრის თანდათანობით გაქრობაში.

გემოთაღნიშნულია, რომ მოსამართლეების სრული იზოლირება საზოგადოებისგან მართლმსაჯულების ინტერესებზე დადებითად ვერ იმოქმედებს. მოსამართლეს, რომელიც სარგებლობს გამოხატვის თავისუფლებით, შეუძლია და რიგ შემთხვევებში სასურველიც კი არის გამოხატოს საკუთარი პოზიცია. განსაკუთრებით, ისეთ დროს თუ უმოქმედობა დამაზიანებელი იქნება მართლმსაჯულების ინტერესებისათვის. ამიტომ, მოსამართლეს არ უნდა ჰქონდეს მოლოდინი, რომ მისი ნებისმიერი გამოხატვა და პოზიციის დაფიქსირება მის დისციპლინირებას გამოიწვევს.

არსებული მდგომარეობით, მოსამართლეთა აბსოლუტური უმრავლესობა გაერთიანებულია „მოსამართლეთა ასოციაციაში“, რომლის თავმჯდომარეც ლევან მურუსიძეა და რომლის გამგეობა იუსტიციის საბჭოს წევრებითა და სხვა გავლენიანი მოსამართლეებით არის დაკომპლექტებული. მოსამართლეთა კონფერენციებზე, გადანყვეტილებები ყოველგვარი დისკუსიის გარეშე, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მიიღება, რაც იმის ნათელი დასტურია, რომ არაჯანსაღი გავლენების შედეგად მოსამართლეთა კორპუსი თანდათანობით ჩაკეტილი გახდა.⁸⁵

81 საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ მუხლი 75¹

82 ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ თავში 1.4. „მოსამართლეთა საჯარო ქცევა პრაქტიკაში და მისი შესაბამისობა საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან.“

83 ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ თავი 2.4 „საბჭოს წევრების კომუნიკაციის ფორმა საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელთან“

84 ასოციაცია „მოსამართლეთა ერთობა“ 2013 წლის ივნისში დაფუძნდა. ორგანიზაცია მოსამართლეთა ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, რომელში განწევრიანებაც ნებისმიერ მოქმედ ან რეზერვში მყოფ მოსამართლეს შეუძლია.

85 იხილეთ კვლევა: „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, კორუფციის რისკები სასამართლო სისტემაში, 2018, გვ.40-42. <https://bit.ly/2Pxr21T> [ბოლოს ნანახია 22.02.2021]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „უფლება „მსუსხავ ეფექტს“ განიცდის, თუ პირი, მოსალოდნელი სანქციის შიშით, იძულებულია თავი შეიკავოს უფლების სრულყოფილად განხორციელებისაგან და თვითშეზღუდვა აისახება გამოხატვის თავისუფლების ნორმატიულად შეზღუდავ ნაწილზეც. „მსუსხავი ეფექტის“ გავლენით ნორმის ზემოქმედება გამოხატვის თავისუფლების რეალიზებაზე შესაძლებელია გასცდეს მისი რეგულირების სფეროს და ფაქტობრივად შეზღუდოს ის ურთიერთობები, რომელთა მოწესრიგებაც კანონმდებლის მიზანს არც კი წარმოადგენდა. გამოხატვის თავისუფლების სფეროს ამგვარად რეგულირებამ შესაძლებელია გამოიწვიოს საზოგადოების გაუმართლებელი რეაქცია, მისი მოქმედების თავისუფლების თვითშეზღუდვა, აიძულოს ადამიანები, მოახდინონ თვითცენზურა გამოხატვის თავისუფლებით დაცული სფეროს იმ ნაწილში, რომლის შეზღუდვის აუცილებლობაც არ არსებობს, რაც, თავისთავად, ამ უფლების არათანაბრობიერად შეზღუდვის ტოლფასია.“⁸⁶

აღნიშნულიდან გამომდინარე, სწორედ, „მსუსხავი ეფექტის“ კონტექსტში უნდა იქნას განხილული მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ნებისმიერი ინიციატივა, მით უფრო, თუ საკითხი მოსამართლეთა დისციპლინირებას ეხება.

86 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება N2/2/516,542, საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

II. მართლმსაჯულების ორგანოების როლი საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში

ამ თავში განხილული იქნება მართლმსაჯულების ორგანოების როლი საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში. კონკრეტულად, რომელ ორგანოს ან თანამდებობის პირს ევალება ან/და უფლება აქვს აწარმოოს სასამართლოსთან დაკავშირებულ საკითხებზე კომუნიკაცია საზოგადოებასთან. ასევე შეფასდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლი ამ პროცესში და კომუნიკაციისას საბჭოს წევრების მიერ პრაქტიკაში გამოყენებული ფორმების მართებულობა და შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან.

მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლების პროცესში სასამართლოსა და საზოგადოებას შორის სწორ კომუნიკაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საზოგადოებასთან კომუნიკაციის აუცილებლობაზე ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) #7 დასკვნაშია საუბარი. დასკვნის მიხედვით, მოქალაქეების უმეტესობის ცოდნა სასამართლო სისტემის შესახებ შემოიფარგლება იმ ცოდნით და გამოცდილებით, რაც მათ შეიძლება სასამართლო პროცესებში დავის მხარის, მოწმის ან ნაფიცი მსაჯულის სტატუსით მონაწილეობის შედეგად შეიძინეს.⁸⁷ მედიის როლი საზოგადოებისთვის სასამართლოსთან დაკავშირებით არსებულ ინფორმაციის მიწოდების ნაწილში, უაღრესად დიდია, მაგრამ, გარდა მედიისა, ამ პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია პირდაპირი ურთიერთობების დამყარება საზოგადოებასა და სასამართლოებს შორის.⁸⁸

სათანადო კომუნიკაცია ეხმარება საზოგადოების ნდობის აღდგენას სასამართლო სისტემის მიმართ. სასამართლოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოებასთან კომუნიკაცია წარმოაჩენს, რომ შესაბამისი ინსტიტუტები და მათი წევრები იცავენ საჯარო ინტერესს და განამტკიცებენ აღქმას, რომ გადაწყვეტილებები მიიღება კანონის საფუძველზე, შესაბამისი ვადების დაცვით.⁸⁹

შესაბამისი კომუნიკაციის საშუალებით, სასამართლოებს შეუძლიათ შეინარჩუნონ და გააძლიერონ მართლმსაჯულების სისტემის რეპუტაცია. ეს მათ შორის გულისხმობს საზოგადოებრივ განხილვებში და კონფერენციებში მონაწილეობას, ინტერნეტ რესურსების გამოყენებასა და მედიის საშუალებით აზრის დაფიქსირებასაც.⁹⁰

2.1. ვის შეუძლია საზოგადოებასთან კომუნიკაცია

საინტერესო საკითხია, სასამართლო სისტემაში რომელ უწყებას ან პირს აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის უფლება ან/და გარკვეულ შემთხვევაში ვალდებულებაც.

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) მიერ გამოქვეყნებული სახელმძღვანელოს მიხედვით,⁹¹ საზოგადოებასთან კომუნიკაცია შეუძლია:

- მოსამართლეთა ასოციაციებს;
- სასამართლოს ადმინისტრირების ორგანოს (საქართველოს შემთხვევაში იუსტიციის უმაღლესი საბჭო);

87 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) დასკვნა #7, პარ. 9, 2005 წელი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ejgyku>

88 იქვე.

89 Guide on communication with the media and the public for courts and prosecution authorities, European commission for the efficiency of justice (CEPEJ), 2018; available: <https://bit.ly/3kQ2lg4>

90 იქვე.

91 Guide on communication with the media and the public for courts and prosecution authorities, European commission for the efficiency of justice (CEPEJ), 2018; available: <https://bit.ly/3kQ2lg4>

- სასამართლოებს;
- ინდივიდუალურ მოსამართლეებს;
- სპიკერ მოსამართლეებს.

კომუნიკაციის პროცესში ამ პირებს განსხვავებული უფლებები და მოვალეობები გააჩნიათ. თუმცა განსაკუთრებით საინტერესო, საქართველოს რეალობაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლის შეფასება და გაანალიზება იქნება. ბოლო რამდენიმე წელია, სწორედ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები აქტიურობენ საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში. უკვე რამდენიმე წელია საზოგადოებრივი განხილვის საკითხია, რამდენად ჰქონდა/აქვს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს კომუნიკაციის იმგვარი მეთოდისა და ინტენსივობის გამოყენების უფლება, რასაც ისინი ამ პროცესში იყენებენ.

2.2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლი საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებაზე (ზოგიერთ შემთხვევაში ვალდებულებაზეც) მართლმსაჯულების ინტერესის სასარგებლოდ საზოგადოებასთან სწორი კომუნიკაციის წარმოების შესახებ, „ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს“ (CCJE) #10 დასკვნა მიუთითებს.⁹² დასკვნის მიხედვით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიზანი უნდა იყოს სასამართლო სისტემისა და ინდივიდუალური მოსამართლეების დამოუკიდებლობის დაცვა, სასამართლოს რეპუტაციის შენარჩუნება და სისტემისადმი საზოგადოების ნდობის განმტკიცება.⁹³

როგორც იკვეთა, საბჭოს არამხოლოდ უფლება, არამედ ვალდებულება აქვს გადადგას კონკრეტული ნაბიჯები, გაავრცელოს ისეთი ტიპის ინფორმაცია, რომელიც დაიცავს მართლმსაჯულების ან/და კონკრეტული მოსამართლის რეპუტაციას.

მსგავსი ვალდებულების ფონზე, დამაზიანებელი შედეგის თავიდან ასაცილებლად, ამ პროცესში მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი გავრცელებული ინფორმაცია ან გადადგმული ნაბიჯი მრავალჯერ და წინასწარ კარგად იყოს შეფასებული და გაანალიზებული. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) რეკომენდაციის მიხედვით, საბჭომ თავისი ფუნქციის შესრულებისას, უნდა ისარგებლოს აუცილებელი პროფესიული დახმარებით. მნიშვნელოვანია, საბჭოს აპარატი არ იყოს დაკომპლექტებული მხოლოდ იურისტებისგან, არამედ იქ ასევე საქმიანობდნენ ჟურნალისტები, სოციალურ მეცნიერებების წარმომადგენლები, სტატისტიკოსები და სხვა.⁹⁴

საქმეში ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა დაადგინა.⁹⁵ ანდრამ ბაკა უნგრეთის უზენაესი სასამართლოსა და მართლმსაჯულების ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე იყო. მან კრიტიკული მოსაზრებები გამოხატა უნგრეთში მიმდინარე მართლმსაჯულების რეფორმასთან დაკავშირებით, რის გამოც მას, კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, უფლებამოსილების ვადა შეუნცდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ უფლებამოსილების ნაადრევი შეწყვეტა მოსარჩელის მიერ საკუთარი აზრის საჯარო გამოხატვას და უფლებამოსილების შესრულებას უკავშირდებოდა, ხოლო მისი გათავისუფლება თანამდებობიდან არღვევდა მოსარჩელის გამოხატვის თავისუფლებას. სასამართლომ ამ საქმეში კონკრეტული მნიშვნელობა მიანიჭა მოსარჩელის თანამდებობას და დაასკვნა, რომ როგორც თავმჯდომარეს, მას არა მხოლოდ

92 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა # 10, 2007 წელი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/386e17Z>

93 იქვე.

94 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა # 10, 2007 წელი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/386e17Z>

95 CASE OF BAKA v. HUNGARY, European Court of Human Rights, 2014 ; available: <https://bit.ly/2OvDfqC>

შეეძლო, არამედ ვალდებულებაც იყო, სხვადასხვა სასამართლოების წარმომადგენელთა აზრის გაგების შემდეგ, საკუთარი აზრი გამოეხატა საკანონმდებლო რეფორმებზე, რომელიც სასამართლო სისტემას შეეხებოდა.

„ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს“ (CCJE) #10 დასკვნის მიხედვით, მართლმსაჯულების სისტემაში სხვადასხვა ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მყოფმა პირებმა, პოზიცია უნდა დააფიქსირონ არამხოლოდ მართლმსაჯულების საკითხებზე მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით, არამედ მაშინაც, როდესაც მედია ან მედიის გამოყენებით პოლიტიკური ფიგურები ან საზოგადოების სხვა წარმომადგენლები გამოწვევის წინაშე აყენებენ სასამართლოს ან შეტევას ახორციელებენ კონკრეტულ მოსამართლეებზე. იმის გათვალისწინებით, რომ კონკრეტული საქმის განმხილველი მოსამართლე ვალდებულია საჯარო პასუხისგან თავი შეიკავოს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ან თავად სასამართლოს უნდა შეეძლოს სწრაფად და ეფექტიანად უპასუხოს ასეთ გამოწვევებსა და თავდასხმებს.⁹⁶

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების მიხედვით იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მის წევრებს აქვთ უფლება და გარკვეულ შემთხვევაში ვალდებულებაც, რომ დააფიქსირონ საკუთარი პოზიციები მიმდინარე საკანონმდებლო თუ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, კანონმდებლობით⁹⁷ ცალსახად და არაორაზროვნად აკრძალულია საბჭოს წევრის პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა. შესაბამისად მოსამართლეების ისეთი გამოხატვა, რომელიც ობიექტური დამკვირვებლის თვალთ შეფასდება, როგორც პოლიტიკურ საქმიანობაში მისი მონაწილეობა, დასაშვები არ არის. ეს შეზღუდვა მოქმედებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როგორც მოსამართლე⁹⁸, ასევე არამოსამართლე წევრებზე.⁹⁹ შესაბამისად, სასამართლოს რეპუტაციის დაცვის პროცესში, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, დაცული იყოს ბღვარი ერთის მხრივ, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობასა და მეორეს მხრივ, მართლმსაჯულების სასარგებლოდ გადადგმულ ნაბიჯებს შორის.

ამ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო სტანდარტების ანალიზმა აჩვენა, რომ თუკი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის გამოხატვა კავშირში არ არის პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობასთან და უკავშირდება მხოლოდ და მხოლოდ მართლმსაჯულებასთან მიმართებით არსებულ გამოწვევებსა თუ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, ასეთი გამოხატვა დასაშვებია. თუმცა ასევე მნიშვნელოვანია, შეფასდეს რამდენად შეუზღუდავი და ფართოა ასეთი გამოხატვა და უნდა იყოს თუ არა რაიმე ფორმა დაცული ამ პროცესში.

2.3. მოსამართლეთა ეთიკის ნორმაები საჭირო ნაწილებთან მიმართებით

საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლოს ადმინისტრირების ორგანოს წევრის, მათ შორის მოსამართლე წევრის გამოხატვის თავისუფლება უფრო ფართოა, ვიდრე ინდივიდუალური მოსამართლის. თუმცა მისი ქცევები, როგორც მოსამართლის, განსხვავებით საბჭოს არამოსამართლე წევრისა, შეზღუდულია კონკრეტული ეთიკის ნორმებით, მაგალითად ბანგალორის პრინციპებითა¹⁰⁰ და მოქმედი ეთიკის კოდექსით.¹⁰¹

გამომდინარე იქედან, რომ მოსამართლეებზე, ფიცის დადების დღიდან მოქმედებს ბანგალორის პრინციპები, ცხადია, ამ პრინციპების დაცვისგან ისინი არც საბჭოს წევრად არჩევის შემდეგ თავისუფლდებიან. მაშინ როდესაც ამ პრინციპების დაცვის ვალდებულება არ ვრცელდება

96 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა # 10, 2007 წელი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/386el7Z>

97 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 39 მუხლი; 47-ე მუხლის მე-13 პუნქტი

98 „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 39-ე მუხლი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/30RZPMX> [ბოლოს ნანახია: 18.03.2021]

99 „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-13 პუნქტი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/30RZPMX> [ბოლოს ნანახია: 18.03.2021]

100 სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები, 2002 წელი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3c4lc2Y>

101 საქართველოს მოსამართლეთა ეთიკის წესები; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2PDtrej>

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრზე. აღნიშნული, არ გულისხმობს, რომ საბჭოს არამოსამართლე წევრები სრულად გათავისუფლებულნი არიან ეთიკური წესების დაცვის ვალდებულებისაგან და მათი გამოხატვა შეუზღუდავად ფართოა. ბუნებრივია, ისინი, როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები უნდა მოქმედებდნენ ასევე მართლმსაჯულების ინტერესების სასარგებლოდ და მათი ქმედებებით მხოლოდ ხელს უნდა უწყობდნენ სასამართლოს მიმართ ნდობის ამაღლებას საზოგადოების თვალში.¹⁰²

ბანგალორის პრინციპების თანახმად, მოსამართლე იცავს ეთიკის ნორმებს. მისთვის დაუშვებელია არაკორექტული ქცევა მის თანამდებობასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედების განხორციელებისას.¹⁰³ სასამართლო სისტემის რეპუტაციის დაზიანების თავიდან ასაცილებლად, საბჭოს მოსამართლე წევრებმა ზედმინწევნი უნდა დაიცვან დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, შეუვალობის, წესიერების, თანასწორობის, კომპეტენციისა და გულისხმიერების პრინციპები.

ამ პრინციპების დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხში, ვინაიდან ყველა დანარჩენი უფლების განხორციელება მთლიანად დამოკიდებულია მართლმსაჯულების სათანადო აღსრულებაზე. საზოგადოების ნდობა სასამართლო სისტემის, მისი მორალური ავტორიტეტისა და პატიოსნებისადმი პირველხარისხოვან როლს ასრულებს თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში.¹⁰⁴

საბჭოს მოსამართლე წევრებს ევალებათ ასევე ეთიკის კოდექსის, მათ შორის მე-10 მუხლის დაცვაც: „მოსამართლემ თავის განცხადებაში უნდა გამოიჩინოს სათანადო კორექტულობა, არ გამოიყენოს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი სიტყვები და გამოთქმები ან დისკრიმინაციული ტერმინოლოგია. ამასთან, მოსამართლემ სასამართლო მოხელესაც უნდა ურჩიოს თავი შეიკავოს ამგვარი განცხადების გაკეთებისაგან.“¹⁰⁵

გამოხატვის შინაარსის კორექტულობის აუცილებლობაზე მიუთითებს ასევე CEPEJ-ის სახელმძღვანელოც, რომელიც სასამართლო სისტემის კომუნიკაციის სტანდარტებს ეხება საზოგადოებასა და მედიასთან.¹⁰⁶ სასამართლო კომუნიკაცია უნდა გამოირჩეოდეს მისი ხარისხით - ფაქტობრივი სიმართლით, ობიექტურობით და მკაფიოობით.¹⁰⁷ სასამართლოს მიერ გამოყენებული მეტყველება უნდა გამოირჩეოდეს ისეთი მაღალი ხარისხითა და ეფექტიანობით, რომ პატივისცემას იწვევდეს.¹⁰⁸

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში კუდეშკინა რუსეთის წინააღმდეგ¹⁰⁹ განმარტა, რომ ბუსტი ინფორმაციის გავრცელებაც კი უნდა მოხდეს ზომიერად და მართებულად. ამავსე საქმეში განმარტებულია, რომ სასამართლო წარმოადგენს მართლმსაჯულების, კანონის უზენაესობის პრინციპით მართულ ქვეყანაში ფუნდამენტური ღირებულების გარანტს. შესაბამისად, საკუთარი მოვალეობების წარმატებით განსახორციელებლად იგი უნდა სარგებლობდეს საზოგადოების ნდობით. სწორედ ამ მიზეზის გამო სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს, მაქსიმალური წინდახედულება მოეთხოვებათ, რათა მიუკერძოებელი მოსამართლეების რეპუტაცია შეინარჩუნონ.¹¹⁰

102 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა # 10, პარ.83, 2007 წელი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/386el7Z>

103 „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და მისი კომენტარები“, Judicial Integrity Group, გვ. 37, 2015 წელი, ნათარგმნია ; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sUZTrq>

104 იქვე.

105 საქართველოს მოსამართლეთა ეთიკის წესები; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2PDtre>

106 Guide on communication with the media and the public for courts and prosecution authorities, European commission for the efficiency of justice (CEPEJ), 2018; available: <https://bit.ly/3kQ2lg4>

107 იქვე.

108 იქვე.

109 CASE OF KUDESHKINA v. RUSSIA, European Court of Human Rights, 26 February 2009 , par. 93 available: <https://bit.ly/3ru9W6k>

110 იქვე. პარ. 86

ბოლო რამდენიმე წელია, საზოგადოებრივი განხილვის საგანია, რამდენად არის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების იმგვარი გამოხატვა, რასაც ისინი არასამთავრობო სექტორის, სხვადასხვა ოპოზიციონერი პოლიტიკოსებისა თუ საზოგადოებრივი ჯგუფების მისამართით იყენებენ. შემდეგ თავში საბჭოს წევრების კონკრეტული გამოხატვის ფორმები იქნება გაანალიზებული.

2.4. საბჭოს წევრების კომუნიკაციის ფორმა საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელთან

საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებით, იმ შემთხვევაში თუკი სასამართლოს მიუკერძოებლობას, დამოუკიდებლობას ან რეპუტაციას საფრთხე ექმნება, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა შეძლოს პირველ რიგში სისტემა ამ საფრთხეებისგან დაიცვას. გემოთ თავებში ბედმინვნით იქნა გაანალიზებული, მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოების ნდობის შემცირებისგან თავის დაზღვევის მიზნით, რა შემთხვევაში და როგორი ფორმის კომუნიკაცია მოეთხოვება საბჭოს წევრებს. ამ თავში განხილული იქნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების კონკრეტული განცხადებები და ქმედებები საერთაშორისო სტანდარტთან და ეთიკის კოდექსთან შესაბამისობის კონტექსტში.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების განსაკუთრებული აქტიურობა სოციალურ ქსელში 2018 წლიდან დაიწყო. მაშინ როდესაც, საბჭოს სხდომაზე, საბჭოს იმდროინდელმა მდივანმა გიორგი მიქაუტაძემ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების 10 კაციანი სადავო სია წარმოადგინა. 10-კაციანი სიაში მოხვედრილი კანდიდატების აბსოლუტური უმრავლესობა სასამართლოში მოქმედი გავლენიანი ჯგუფის ლიდერები, წევრები ან მათი მხარდამჭერები იყვნენ. ამასთან ზოგიერთი მათგანის სახელი უახლოეს წარსულში გახმაურებულ, პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებს და სასამართლოში არსებულ არაფორმალურ მმართველობას უკავშირდებოდა. სიის პირველი ნომერი კი სისტემაში ყველაზე გავლენიანი მოსამართლე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, მიხეილ ჩინჩალაძე იყო.¹¹¹

სიას მხარი საბჭოს 11-მა წევრმა დაუჭირა და პარლამენტს იმავე დღეს გადაეგზავნა. კანდიდატების ნომინირება დახურულ კარს მიღმა, უკიდურესად გაუმჭვირვალედ და საეჭვოდ სწრაფად წარიმართა. წარმოქმნილი წინააღმდეგობის ფონზე, წარდგენილ კანდიდატებს თავიანთი კანდიდატურების პარლამენტიდან უკან გამოთხოვა მოუწიათ. პროცესს ფართო პოლიტიკურ - საზოგადოებრივი პროტესტი და საერთაშორისო საზოგადოების მწვავე კრიტიკა მოჰყვა.¹¹² საზოგადოების მხრიდან მომდინარე სამართლიანი კრიტიკის საპასუხოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები გარკვეულ მოსაზრებებს აქტიურად ავრცელებდნენ, რომელთა უმრავლესობა არაეთიკური იყო და საზოგადოების სხვადასხვა წევრებზე, მათ შორის პოლიტიკოსებზე, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარესა და არასამთავრობო ორგანიზაციებზე თავდასხმადაც კი შეიძლება შეფასდეს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, განსაკუთრებით კი მოსამართლე წევრების მიერ მოსაზრებების გამოხატვა, გარდა იმისა, რომ შინაარსობრივად არ იყო მიმართული მართლმსაჯულების სისტემის ინტერესებისკენ და ძირითად შემთხვევაში მათი ძალაუფლების შენარჩუნების სურვილზე უფრო მიუთითებდა, ფორმის მხრივაც კი უკიდურესად არაეთიკური და შეუსაბამო იყო მოსამართლის მაღალ სტატუსთან.

განსაკუთრებულ პრობლემად შესაძლებელია შეფასდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის დიმიტრი გვრიტიშვილის განცხადება, სადაც ის პირადი ცხოვრების კადრების გავრცელებაში ირიბად თავად მსხვერპლ დეპუტატ ქალს ადანაშაულებდა.¹¹³ 2019 წლის დასაწყისში პარლამენტის დეპუტატი ქალის, რომელიც აქტიურად ეწინააღმდეგებოდა კლანის წევრების უზენაეს სასამართლოში არჩევას,


111 „სამოქალაქო სექტორი პარლამენტისგან უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების შეჩერებას მოითხოვს“, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, 2018 წლის 24 დეკემბერი; ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/lcrSwbg>

112 „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის 1 წლიანი პროცესის ქრონოლოგია“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 2020 წლის 10 თებერვალი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2OtZfBz>

113 „[...] გვრიტიშვილი კადრების გავრცელებაზე“, ნეტგაზეთი, 2019 წლის 29 აინვარი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2QkisXU>

პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები გავრცელდა. აღნიშნულს დეპუტატი მის მიმართ პირად ანგარიშსწორებას უკავშირებდა. დიმიტრი გვრიტიშვილის განცხადებით, კადრების გავრცელება თავად მსხვერპლს „აძლევდა ხელს“, შესაბამისად, ვერ გამოირიცხავდა, რომ დეპუტატმა თავად გაუწია ორგანიზება მისი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებას. იმ ფონზე, როდესაც წლებია საქართველოში ფარული მიყურადება უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს და არაერთი საჯარო პირი უკვე გახდა მსგავსი დანაშაულის მსხვერპლი, დიმიტრი გვრიტიშვილის მიერ დანაშაულის გადატანა თავად მსხვერპლ ქალზე არაეთიკურად და სასმართლო სისტემისთვის საზიანოდ უნდა შეფასდეს.

სოციალურ მედიაში საბჭოს წევრების მიერ გაკეთებული განცხადებები:

 დიმიტრი გვრიტიშვილი

ძვირფასო მკითხველებო, ამიერიდან ე.წ. არასამთავრობოებს მოვიხსენიებ „გიგაური-მშვენიერადის კლანად“.

ჯერ ვფიქრობდი, მშვენიერადის ნაცვლად სალაძე ხომ არ ჩამესვა ტანდემში, მაგრამ არა, ამ ბოლო დროს ამკარად გამოიკვეთა, რომ მშვენიერაძე უფრო დიდი საზოგადო მოღვაწეა 😊

ჯანებაშვილ-დოლიძესაც ამის შემდეგ ცალკე აღარ გამოვყოფ, ეგენი ხომ ხსენებული კლანის ჯარისკაცები და რუპორები არიან.

ისე, სიამოვნებით მოვისმენ თქვენს შემოთავაზებებს ამ „კლანის“ სახელწოდების სხვაგვარად ჩამოსაყალიბებლადაც 😊

ფეისბუქ პოსტი¹¹⁴
2019 წლის 6 მაისი

 დიმიტრი გვრიტიშვილი

ანა დოლიძე, ეს აჟიტირებული ცრუპენტელა [...]

ფეისბუქ პოსტი¹¹⁵
2019 წლის 27 იანვარი

შენიშვნა: ამ ტექსტით დიმიტრი გვრიტიშვილი იუსტიციის უმაღლესი საბჭოში პრეზიდენტის კვოტით დანიშნულ არამოსამართლე წევრს, ანა დოლიძეს მიმართავს.

114 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის, დიმიტრი გვრიტიშვილის ფეისბუქ პოსტი, 2019 წლის 6 მაისი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/38OIkBx> (screenshot: <https://cutt.ly/rvRjuR7>)

115 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის, დიმიტრი გვრიტიშვილის ფეისბუქ პოსტი, 2019 წლის 27 იანვარი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Nukd3V> (screenshot: <https://cutt.ly/PvRkcd4>)



დიმიტრი გვრიტიშვილი

ზოგიერთი ამორალური, საზოგადოების ხორცმეტი ადამიანი ამოფარებულია გამოხატვის თავისუფლებას და ცილისმწამებლობს

კომენტარი სერგო მეთოფიშვილის ფეისბუქ პოსტზე¹¹⁶

2019 წლის 7 იანვარი



Sergo Metopishvili

ნახეთ რა დღეშია ნაზიბროლა...

“რეგვენი” და “უსინდისო” უწოდა საბჭოს სხდომაზე მოსამართლეს...(!?)

ამ არაკეთილსინდისიერმა და არაკომპეტენტურმა ადამიანმა დიდი ხანია სახე დაკარგა..., თუმცა, ბოლო დროს ის ყველანაირ ზღვარს ცილდება! ეს უკვე დიაგნოზია...

ბოლო პერიოდში ყველამ კარგად დაინახა როგორ ესხმის იგი თავს ყველას და ყველაფერს...მგონი ეს კლასიკური პარანოია!

სამი წელი გავიდა რაც ის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრია, მაგრამ არც ერთხელ არ გამოუტანია საბჭოს სხდომაზე არც ერთი საქმიანი წინადადება, არც ერთი საქმიანი გადანყვეტილების პროექტი... მხოლოდ ილანძღება და შეურაცხყოფას აყენებს მოსამართლეებს, საბჭოს და სასამართლო სისტემას.

ჩემი აზრით, ასე მხოლოდ ძალიან დაბალი დონის, სულიერად დაცემული და უზნეო ადამიანი თუ მოიქცევა...

ფეისბუქ პოსტი¹¹⁷

2020 წლის 5 აგვისტო

შენიშვნა: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრმა, ნაზი ჯანეზაშვილმა ერთ - ერთ სხდომაზე ირაკლი შენგელიას მიმართა და „რეგვენი“ უწოდა.¹¹⁸ ბუნებრივია ენა, რომელსაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი უნდა იყენებდეს არ არის შესაბამისი ამ ტერმინთან, თუმცა აქვე მნიშვნელოვანია სრული კონტექსტის დანახვა და გაანალიზება. წლებია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად აკვირდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომებს და ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ ნაზი ჯანეზაშვილისათვის იქ შექმნილია უკიდურესად მტრული, დამამცირებელი გარემო. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების უმრავლესობა მუდმივად უპირისპირდებოდა ჯანეზაშვილის განსხვავებულ აზრს აგრესიით, ხშირად კი დაცინვითა და დამამცირებელი მიმართვებით. ამის მიუხედავად, უმჯობესია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი მუდმივად მოქმედებდეს მართლმსაჯულების ინტერესის სასარგებლოდ და მოსაზრებების დაფიქსირებისას იცავდეს ეთიკურ ნორმებს.

116 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, დიმიტრი გვრიტიშვილის კომენტარი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის (2006-2020 წლებში), სერგო მეთოფიშვილის ფეისბუქ სტატუსზე, 2019 წლის 7 იანვარი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/38U9ozp> (screenshot: <https://cutt.ly/EvRxyL5>)

117 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის (2016-2020 წლებში), სერგო მეთოფიშვილის ფეისბუქ პოსტი, 2020 წლის 5 აგვისტო; ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/MvRdDrf> (screenshot: <https://cutt.ly/OvRcz5O>)

118 „თქვენ ხართ რეგვენი“ – კამათი ჯანეზაშვილ-შენგელიას შორის ნათესაურ კავშირზე, ნეტგაზეთი, 2020 წლის 4 აგვისტო; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/30jOhSH>

ბემოთ განხილული მაგალითები ნათლად აჩვენებს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ გამოყენებული გამოხატვის ფორმა, უმეტეს შემთხვევაში შესაბამისობაში არ არის საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტთან, მოსამართლის მაღალ სტატუსთან, ბანგალორის პრინციპებთან და საქართველოს მოსამართლეთა ეთიკის წესებთან. ასევე საინტერესოა გაანალიზდეს, რა უარყოფითი შედეგი შეიძლება მოიტანოს იმ თავდასხმებმა, რომლებსაც ისინი, მათ შორის, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებსა და ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეებ ახორციელებდნენ.

თავდასხმა სასამართლოსადმი კრიტიკულად განწყობილ პირებზე

არასამთავრობო ორგანიზაციებზე, პოლიტიკოსებსა, თუ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეებზე თავდასხმა რამდენიმე წელია საბჭოს წევრების სტრატეგიად იქცა. განსაკუთრებით ამ მიმართულებით აქტიურები საბჭოს წევრი დიმიტრი გვრიტიშვილი, და ყოფილი წევრი სერგო მეთოფიშვილი არიან. მნიშვნელოვანია, ამ მიმართულებით გაანალიზდეს სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლების ქმედება რამდენად თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებთან და რა შედეგი შეიძლება მოიტანოს მსგავსმა თავდასხმებმა.

როდესაც სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელი საჯაროდ აკეთებს განცხადებას, მისი ერთადერთი მიზანი მართლმსაჯულების ინტერესის დაცვა უნდა იყოს. ხოლო გამოყენებული ფორმა იმგვარი, რომ დაეხმაროს საზოგადოებას მართლმსაჯულებისადმი ნდობის ამაღლებაში. გარდა ამისა, მოსამართლე წევრებმა, მათ შორის საბჭოს მოსამართლე წევრებმა, იმგვარად უნდა ისარგებლონ გამოხატვის თავისუფლებით, რომ არ შექმნან არაობიექტურობის და მიკერძოებულობის აღქმა.¹¹⁹ წლებია საბჭოს მოქმედი თუ ყოფილი წევრების გამოხატვა, არასამთავრობო სექტორისადმი, ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსებისადმი და სხვა კრიტიკული შეხედულებების მქონების პირებისადმი თავდასხმაში გადაიზარდა. 2019 წლის 6 მარტს, სამმა დეპუტატმა, სერგო მეთოფიშვილს და დიმიტრი გვრიტიშვილს, არაეთიკური და პოლიტიკური განცხადებების გაკეთების საფუძველით, იუსტიციის უმაღლეს საბჭომიც უჩივლეს.¹²⁰

119 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა # 10, 2007 წელი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/386el7Z>

120 „3-მა დეპუტატმა მეთოფიშვილისა და გვრიტიშვილის წინააღმდეგ საჩივრით იუსტიციის საბჭოს მიმართეს“, ტაბულა, 2019 წლის 6 მარტი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3r9GG3Y>



Sergo Metopishvili

[...]

რასაც ბოლო დღეებში პოლიტიზირებული ეკა გიგაური,¹²¹ სულხან სალაძესთან¹²², ასევე, რამოდენიმე სხვა პოლიტიზირებულ NGO-სთან და ბესელიასნაირ¹²³ პოლიტიკოსებთან ერთად გვთავაზობენ, ამას შეიძლება ეწოდოს - თავხედი და ზღვარსგადასული თვითნებობა!

[...]

P.S. საზოგადოებამ ადრე იხლა ქალბატონ გიგაურის “ფეიკ ნიუსები”, “ფეიკ ანგარიშები”, “ფეიკ ფარსები” სასამართლო სისტემის მიმართ, ეხლა კი ქალბატონი გიგაური თავის “ფეიკ ფანტაზიებს” ავრცელებს.¹²⁴

ფეისბუქ პოსტი¹²⁵

2019 წლის 18 იანვარი



Sergo Metopishvili

ვაუუუ....!!!

მგონი ქალბატონმა გიგაურმაც ბოლომდე მოიხსნა ნილაბი!

მშვენიერია!

რაც უფრო მეტი ადამიანი მოიხსნის ნილაბს და აჩვენებს საზოგადოებას მის ნამდვილ სახეს, მით უკეთესია!!!

ქალბატონო ეკა, მგონი დაღალეთ ყველა თქვენი “ფეიქ ფარსებით”, “ფეიქ ანგარიშებით” და “ფეიკ ნიუსებით”, ამიტომ, მივმართავ ქალბატონ გიგაურს და მისნაირად მოაზროვნე პოლიტიკოსებს - რომ აღარ დაღალეთ საზოგადოება გაანებეთ ამ ფარს თავი, თქვენ არამაირი კრიტერიუმები რეალურად არ გაინტერესებთ, თუ გაგაჩნიათ მოსამართლეების ე.წ. “შავი” სია, რომლებიც თქვენი აზრით არ იმსახურებენ დანიშნულებას, ერთხელ და სამუდამოდ გამოაჩინეთ ეს სრული სია!!!

ფეისბუქ პოსტი¹²⁶

2019 წლის 12 იანვარი

121 „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი

122 ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იმდროინდელი თავმჯდომარე

123 ეკა ბესელია პარლამენტის დეპუტატი იყო, რომელიც გავლენიანი მოსამართლეების მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების 10 კაციანი სადავო სიის წარდგენას ღიად დაუპირისპირდა და მისივე განცხადებით, ამ პროცესის შეჩერების გამო იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი დატოვა.

124 იგულისხმება „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ გავრცელებული ანგარიშები და კვლევები, რომლებიც მკვეთრად კრიტიკულია სასამართლო სისტემის მიმართ

125 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის (2016-2020 წლებში), სერგო მეთოფიშვილის ფეისბუქ პოსტი, 2019 წლის 18 იანვარი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vD230A> (screenshot: <https://cutt.ly/lvRc3EM>)

126 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის (2016-2020 წლებში), სერგო მეთოფიშვილის ფეისბუქ პოსტი, 2019 წლის 12 იანვარი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2NudRBz> (screenshot: <https://cutt.ly/TvRvMdl>)



Sergo Metopishvili

ვფიქრობდი რა კომენტარი შეიძლება გავაკეთო, როდესაც ადამიანი შეგნებულად ავრცელებს სიცრუეს, “ფეიკ ნიუსებს” და ა.შ. ?

რატომ აკეთებს ადამიანი ამას? ეს ხომ უზნეო და უღირსი საქციელია!

ამასთან დაკავშირებით ისევ და ისევ მახსენდება შემდეგი:

ვინ არის ფარისეველი? ფარისეველი - სახარებაში ასეთი ადამიანები თვალთმაქცებად იწოდებიან, ანუ ცრუ და მატყუარა ადამიანები არიან!!!

ფარისევლობა კი, იმგვარი მდგომარეობაა, როცა ადამიანი საკუთარ თავს, თავის რეალურ ბუნებას, მასში არსებულ მანკიერებას ვერ ხედავს და პირიქით, თავს იწონებს პირადი ღირსებებითა და დამსახურებით, რაც სინამდვილეში არ გააჩნია!!!

მატყუარებო! რა ღირს დღეს სიცრუე და “ფეიკ ნიუსი”??? უზნეობა რა ღირს??? ფარისევლობა???

სამწუხაროა...არ გვეტყვიან სიმართლეს.

ფეისბუქ პოსტი¹²⁷

2019 წლის 9 იანვარი

127 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის (2016-2020 წლებში), სერგო მეთოფიშვილის ფეისბუქ პოსტები, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს 1. **სოფო ვერძეულს** (ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) იმდროინდელი ერთ-ერთი ხელმძღვანელი), 2. **გიორგი მშვენიერაძეს** (საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის (GDI) იმდროინდელი თავმჯდომარე) და 3. **სულხან სალაძეს** (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (GYLA) იმდროინდელი თავმჯდომარე) მიემართებოდა, 2019 წლის 9 იანვარი; ხელმისაწვდომია: 1. <https://bit.ly/3eS7zGZ> (screenshot: <https://cutt.ly/lvRmnY1>), 2. <https://bit.ly/3vEZxNZ> (screenshot: <https://cutt.ly/FvRQgwp>), 3. <https://bit.ly/3rZGEN7> (screenshot: <https://cutt.ly/qvRmZ8s>)



დიმიტრი გვრიტიშვილი

არასამთავრობო სექტორი აღარ არსებობს; თვითლუსტრაცია მოახდინეს, როცა საერთოდ გავიდნენ თავისი მანდატის, კანონის ჩარჩოებიდან და მოითხოვეს მოქმედი მოსამართლეების სისტემიდან გაყრა! კაპიტან გიგაურს¹²⁸ ჰყავს კლანი, თუ ჰყავს, 2010 წლიდან ჩაბლაუჭებულია უფროსის სკამს „გამჭვირვალობაში“! ეს საია კი „კაგებს“ აკადემიასავით იქცა: თუ მისი წევრი არ ყოფილხარ, საპასუხისმგებლო თანამდებობას ვერ დაიკავებ და თუ მაინც დაიკავებ, გძირავენ ესენი!

კომენტარი სერგო მეთოფიშვილის ფეისბუქ პოსტზე¹²⁹
2019 წლის 24 იანვარი



დიმიტრი გვრიტიშვილი

კაპიტანო გიგაურო, თქვენ საბოლოოდ დაკარგეთ სახე, თქვენ აღარ ხართ არასამთავრობო ორგანიზაცია, ხართ პოლიტიკური პროცესის მხარე!¹³⁰

კომენტარი „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ფეისბუქ პოსტზე¹³¹
2019 წლის 23 იანვარი

128 ტერმინი „კაპიტანი გიგაური“ პირველად ხელისუფლების მხარდამჭერმა, გოგა ხაინდრავამ გამოიყენა. იგი ამტკიცებდა, რომ ეკა გიგაურმა 2007 წლის 7 ნოემბრის აქცია დაარბია და ამ ქმედების გამო მიიღო კაპიტნის წოდება. ამის შემდეგ აღნიშნული ტერმინი ეკა გიგაურის წინააღმდეგ ერთ-ერთ მთავარ გზავნილად იქცა სამთავრობო არხების მხრიდან. სწორედ ამ კონტექსტში იყენებს ტერმინს „კაპიტანს“ დიმიტრი გვრიტიშვილიც. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3qWe2TW>

129 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის, დიმიტრი გვრიტიშვილის კომენტარი ასევე საბჭოს მოსამართლე წევრის, სერგო მეთოფიშვილის ფეისბუქ პოსტზე, 2019 წლის 24 იანვარი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/38PUXww> (screenshot: <https://cutt.ly/6vRWZte>)

130 ტერმინი „კაპიტანი გიგაური“ პირველად ხელისუფლების მხარდამჭერმა, გოგა ხაინდრავამ გამოიყენა. იგი ამტკიცებდა, რომ ეკა გიგაურმა 2007 წლის 7 ნოემბრის აქცია დაარბია და ამ ქმედების გამო მიიღო კაპიტნის წოდება. ამის შემდეგ აღნიშნული ტერმინი ეკა გიგაურის წინააღმდეგ ერთ-ერთ მთავარ გზავნილად იქცა სამთავრობო არხების მხრიდან. სწორედ ამ კონტექსტში იყენებს ტერმინს „კაპიტანს“ დიმიტრი გვრიტიშვილიც. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3qWe2TW>

131 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის, დიმიტრი გვრიტიშვილის კომენტარი „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ფეისბუქ პოსტზე, 2019 წლის 23 იანვარი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3eOr5Ex> (screenshot: <https://cutt.ly/6vRE4bN>)



Sergo Metopishvili

ვფიქრობ, რომ საზოგადოებამ კარგად დაინახა გიორგი მშვენიერაძის¹³² თავხედობა და არაკომპეტენტურობა!

ვფიქრობ, ასევე, რომ საზოგადოება კიდევ ერთხელ დარწმუნდა რამდენად აბსურდულია ბატონი ლევან მურუსიძის მიმართ პრეტენზიები!¹³³

და ბოლოს, მგონი გიორგი მშვენიერაძე სასამართლოზე დაბოლმილია და განაწყენებულია იმიტომ, რომ მართმსაჯულებამ სამართლიანად არაერთხელ გაასამართლა ყაჩაღობაზე და ჩადენილ სხვა დანაშაულების გამო მისი ოჯახის კრიმინალი წევრი, კერძოდ კი მისი ძმა.¹³⁴

შენიშვნა: სერგო მეთოფიშვილი არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთ წარმომადგენელზე თავდასხმას მისი ოჯახის წევრის პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნებით ცდილობს.

132 საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის (GDI) იმდროინდელი თავმჯდომარე

133 ლევან მურუსიძე წარსულში არაერთი გახმაურებული და პოლიტიკურად მოტივირებული საქმის განმხილველი მოსამართლეა

134 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის (2016-2020 წლებში), სერგო მეთოფიშვილის ფეისბუქ კომენტარი; screenshot: <https://cutt.ly/evRUh7Q>



Sergo Metopishvili

მორიგ თავდასხმას სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ახდენს ანა დოლიძე!¹³⁵

ამჯერად მასთან ერთად ნილაბჩამოხსნილი ეკა ბესელიაა, გედევან ფოფხაძე, ლევან გოგიჩაიშვილი და მათი რამოდენიმე თანამოაზრე.

საინტერესოა რა ტიპის ალიანსში არის დოლიძე ბესელიასთან და მისნაირ პოლიტიკოსებთან?

თუმცა, ცხადია, რომ მიზანი აქვთ ერთი - დაიმორჩილონ სასამართლო, მოიპოვონ გავლენა სასამართლო სისტემაზე, პოლიტიკოსების “ჯიბის” სასამართლოდ აქციონ უზენაესი სასამართლო!

ბესელიებო და დოლიძეებო, არ გამოგივათ ეს!!!

ეს იფფასიანი და უღირსი განზრახვაა!!!

ნუ გავიწყდებათ, რომ 2012 წლიდან მართლმსაჯულების სისტემა გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან და პოლიტიკოსების გავლენებისგან!!!

წარსულში ვერ დაგვაბრუნებენ ბესელიები და დოლიძეები!!!

ფეისბუქ პოსტი¹³⁶

2019 წლის 4 იანვარი

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეთა გავლენიან ჯგუფს სასამართლოში სრული და დაუბალანსებელი ძალაუფლება გააჩნია ხოლო მოსამართლეები ხშირ შემთხვევაში მათი ინტერესების გამტარებლად მიიჩნევიან, საკმაოდ სახიფათო პრეცედენტად უნდა შეფასდეს გავლენიანი მოსამართლეების მიერ გამოძღვრებული მტრული განწყობა კონკრეტულ პირებთან მიმართებით. სასამართლო სერვისით სარგებლობენ, მათ შორის ის ორგანიზაციები და ადამიანები, რომელთაც, გავლენიანი მოსამართლეები ესხმიან თავს. ამ პირობებში ეჭვქვეშ დგება საკითხი, რამდენად შეძლებს ინდივიდუალური მოსამართლე ე.წ. კლანისათვის მიუღებელი პირების საქმეები სასამართლოში განიხილოს ყოველგვარი მიკერძოებისა და წინასწარი განწყობების გარეშე.

თავდასხმა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეზე

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ 2019 წლის 3 თებერვალს რეზოლუცია გამოქვეყნა,¹³⁷ სადაც სასამართლოს მდგომარეობა მკაცრად იყო გაკრიტიკებული. რეზოლუციაში ასოციაცია პირდაპირ

135 ანა დოლიძე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის კვოტით დანიშნული წევრი იყო. იგი მუდმივად უპირისპირდებოდა სასამართლო სისტემაში არსებულ გავლენიან მოსამართლეებს, რის გამოც ხშირად მათი მხრიდან თავდასხმის მსხვერპლი ხდებოდა.

ეკა ბესელია, გედევან ფოფხაძე და ლევან გოგიჩაიშვილი პარლამენტის დეპუტატები იყვნენ, რომელთაც ღიად გააპროსტესტეს კლანის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების 10 კაციანი სადავო სიის წარდგენის ფაქტი. ისინი ასევე ღიად ალაპარაკდნენ სასამართლოში არსებულ გავლენიან მოსამართლეებზე. გუნდთან დაპირისპირების გამო, მათ მოგვიანებით დატოვეს კიდეც პარტია „ქართული ოცნება“.

136 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის (2016-2020 წლებში), სერგო მეთოფიშვილის ფეისბუქ პოსტი, 2019 წლის 4 იანვარი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3bWgLRz> (screenshot: <https://cutt.ly/DvRU4e3>)

137 „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის რიგგარეშე საერთო კრების რეზოლუცია სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და ხარისხიანი მართლმსაჯულების თაობაზე“, 2019 წლის 3 თებერვალი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3kQhs9i>

მიუთითებდა, „ვწუხვართ, რომ 2012 წლის შემდეგ, მართლმსაჯულების სფეროში გატარებული არაერთი რეფორმის მიუხედავად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გაგრძელდა დაუსაბუთებელი და არამართებული გადაწყვეტილებების მიღება, რამაც კიდევ უფრო შეასუსტა სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობა, რის კულმინაციასაც წარმოადგენს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ნომინირების თაობაზე დაჩქარებული, არაგამჭირვალე, ტენდენციური და წინააღმდეგობრივი გადაწყვეტილების მიღება.“

აღნიშნული რეზოლუციის საპასუხოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედმა წევრმა, დიმიტრი გვრიტიშვილმა გამოქვეყნა სტატუსი, სადაც აღნიშნავდა:¹³⁸



დიმიტრი გვრიტიშვილი

„3 თებერვალს დღის შუქი იხილა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, უფრო ზუსტად - ამ ასოციაციის მმართველი რგოლის მიერ შემუშავებულმა „რეზოლუციამ“, რომელიც არის უკანონო, დაუსაბუთებელი, არაკომპეტენტურობის და პროვოკაციის ნაზავი.

[...] ჩემდა სამწუხაროდ, ასოციაციის დღევანდელმა ხელმძღვანელმა - დავით ასათიანმა და მისმა ჯგუფმა გააგრძელა წინა თავმჯდომარის - ბაზა ხატიაშვილის მართლაც მანკიერი ხაზი: პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა, არაეთიკური და ცილისმწამებლური კამპანიის წარმოება სასამართლოს მიმართ.

შეკითხვა მაქვს მასთან: ვისი „დაკვეთა“ შეასრულა სასამართლომ, როდესაც არ დააკმაყოფილა ადვოკატთა ჯგუფის - ლევან ჯანაშიას და სხვების მოთხოვნა, შეჩერებულიყო ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის არჩევნები, სანამ არ გაირკვეოდა არჩევნების პირველი ტურის ჩატარების კანონიერება? იმ არჩევნებით ხომ გახდით თქვენ თავმჯდომარე! თუ როგორ არის - სასამართლო მაშინ მოგწონთ, როცა თქვენს სასარგებლოდ იღებს გადაწყვეტილებებს და სხვა დროს აღარ?

[...] მე ვიცი, რომ ადვოკატთა კორპუსი ემიჯნება ამ „რეზოლუციას“; თავად კრებაზე დამსწრე ადვოკატებსაც არ მიეცათ სრულყოფილი შესაძლებლობა - კარგად გაეაზრებინათ „რეზოლუციის“ შინაარსი, რადგან ისინი დააყენეს ფაქტის წინაშე და გადაწყვეტილება მიაღებინეს ფორს-მაჟორში. ასეთი ადვოკატები უკვე ღიად აფიქსირებენ თავიანთ პოზიციებს სოციალურ ქსელში, რასაც მივსალამები და იმედი მაქვს, რომ ყველა ჯანსაღად მოაზროვნე ადვოკატი სულ მალე გაემიჯნება ამ უმსგავსო პროცესს!“

ფეისბუქ პოსტი
2019 წლის 10 თებერვალი

138 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის, დიმიტრი გვრიტიშვილის ფეისბუქ პოსტი, 2019 წლის 10 თებერვალი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2MZd1MW> (screenshot: <https://cutt.ly/lvRPu4p>)

ბუნებრივია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი უფლებამოსილია პასუხი გასცეს სასამართლო ხელისუფლებისადმი არსებულ პრეტენზიებსა და კრიტიკას. პრობლემა შეიძლება იყოს ამ პროცესში კონკრეტულ საქმეზე მინიშნება, რომელიც ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს ეხება და შეხსენება, რომ ამ საქმეზე დადგა მისთვის სასრგებლო შედეგი. აღნიშნული შესაძლებელია შეფასდეს, როგორც გავლენის გამოყენების გზით აზრის ფორმირების მცდელობა. ასევე მოწოდება სხვა ადვოკატების მიმართ, რომ გაემიჯნონ სასამართლოსადმი კრიტიკულად განწყობილ რეზოლუციას, ადვოკატთა კორპუსის მიმართ არასათანადო კომუნიკაციად უნდა მივიჩნიოთ. უფრო მეტიც, ასეთი ქმედება თავისუფალ და კრიტიკულ აზრზე ზეგავლენის მცდელობის ნიშნებსაც შეიძლება შეიცავდეს.

სასამართლოში მიმდინარე საქმეების წინასწარი შეფასება

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით, ერთ - ერთ დისციპლინურ გადაცდომად მიიჩნევა მოსამართლის მიერ აზრის საჯაროდ გამოხატვა სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეზე.¹³⁹

2017 წლის 21 სექტემბერს მოსამართლის მიმართ გამოთქმული კრიტიკის გამო გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის პირველი პრეცედენტი შეიქმნა. თბილისის საქალაქო სასამართლომ საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე, ფადი ასლი, მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძის კრიტიკის გამო 3 000 ლარით დააჯარიმა. ფადი ასლიმ მოსამართლეს „ფილიპ მორისის“ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გამო კორუმპირებული უწოდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ამ ფაქტთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე გააკეთა.

„მოსამართლემ შელახული ღირსება აღიდგინა თბილისის საქალაქო სასამართლომ პრეცედენტული გადაწყვეტილება მიიღო. პირველად მართლმსაჯულების ისტორიაში, მოსამართლემ ბიზნესმენის მხრიდან შელახული პატივი და ღირსება სასამართლოს მეშვეობით აღიდგინა. [...] სასარჩელო განცხადების თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილო სუბიექტმა დაუსაბუთებელი განცხადებებით ზიანი არამხოლოდ კონკრეტული მოსამართლის საქმიან რეპუტაციას მიაყენა, არამედ მიზნად ისახავდა მოსამართლისა და სასამართლოს დისკრედიტაციას, რითაც უხეშად დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმფცია.“

აღნიშნულ საქმეზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს გარდა, წინასწარი განწყობები დააფიქსირეს და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის საფრთხე შექმნეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმაც. მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძის უვადოდ გამწესებამდე, 2017 წელს ოქტომბერში გამართული გასაუბრების დროს საბჭოს ზოგიერთმა წევრმა მიღებული გადაწყვეტილება შეაფასა როგორც „მნიშვნელოვანი“ და „პრეცედენტული“.¹⁴⁰ მოგვიანებით ეს დავა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებითაც ძალაში დარჩა, თუმცა, შედეგი უზენაესმა სასამართლომ გააუქმა, სადაც საქმე ვლადიმერ კაკაბაძის საწინააღმდეგოდ დასრულდა.¹⁴¹

საბჭოს წევრის მხრიდან, რომელიც სასამართლოს ადმინისტრირების ორგანოს წარმოადგენს, შეფასებების გაკეთება ისეთ საქმეზე, რომელიც დასრულებული და კანონიერ ძალაში შესული არ არის, არასათანადო და შეუსაბამო გამოხატვასთან ერთად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება შეფასდეს.

139 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტი.

140 „მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის მორიგი ეტაპი ხარვეზებით მიმდინარეობს“, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, 2017; ხელმისაწვდომია: <https://goo.gl/77dgoa>

141 „ფადი ასლიმ მოსამართლე ვლადიმერ კაკაბაძეს უზენაეს სასამართლოში დავა მოუგო“, bm.ge, 2019 წლის 17 აპრილი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/30mROY4>

2.5. სპიკერ-მოსამართლეთა ჩოლი საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში

თანმიმდევრული კომუნიკაციის მისაღწევად და მედიისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად, ზოგიერთ სასამართლო სისტემაში მიღებულია სპეციალური სპიკერის ინსტიტუტი. ეს არის წინასწარ განსაზღვრული პირი, რომელსაც ზოგად და სპეციალურ საკითხებზე სასამართლოს სახელით საჯარო კომუნიკაცია ევალება.¹⁴² მართლმსაჯულების საბჭოების ევროპული ქსელის (ENCJ) 2011-2012 წლის ანგარიშის მიხედვით, სპიკერს უნდა ჰქონდეს კომუნიკაციის საკითხებში გარკვეული გამოცდილება და არ არის აუცილებელი ამავდროულად იყოს მოსამართლე.¹⁴³ სპიკერის არსებობას სასამართლო სისტემაში ის უპირატესობა აქვს, რომ ათავისუფლებს მოსამართლეებს მედიასთან კომუნიკაციისგან და აძლევს შესაძლებლობას, რომ სრულად დაუთმონ საკუთარი დრო სამოსამართლო ვალდებულების შესრულებას.¹⁴⁴ სპიკერ - მოსამართლის შემთხვევაში, მას ის უპირატესობა აქვს, რომ მან ზედმინევით კარგად იცის სასამართლო სისტემის ფუნქციონირების სპეციფიური საკითხები.¹⁴⁵

სპიკერის ინსტიტუტის არსებობა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE)¹⁴⁶ და მართლმსაჯულების საბჭოების ევროპული ქსელის (ENCJ)¹⁴⁷ ერთ-ერთი პირდაპირი რეკომენდაციაა.

ზოგადად, სპიკერი პასუხს აგებს საკუთარი სასამართლო ორგანოს ყველა კომუნიკაციაზე. შესაბამისად, ის მუდმივად უნდა იყოს ხელმისაწვდომი, რომ შეძლოს ამ საკითხების სრულყოფილად შესრულება. სპიკერი აიდენტიფიცირებს და აკმაყოფილებს კომუნიკაციის სპეციფიკურ საჭიროებებს, კანონისა და შესაბამისი სიტუაციის გათვალისწინებით.¹⁴⁸

ზოგადი წესის მიხედვით, სპიკერი პირადად უნდა ექვემდებარებოდეს იმ მოსამართლეს, რომელიც მართავს შესაბამის სასამართლო ორგანოს (სასამართლოს თავმჯდომარეს). მსგავსი ზედამხედველობა უზრუნველყოფს სწორი კომუნიკაციის ჩამოყალიბებას სასამართლოს მხრიდან.¹⁴⁹

საქართველოს შემთხვევაში სპიკერ - მოსამართლის ინსტიტუტი შექმნილია.¹⁵⁰ სპიკერ - მოსამართლის კანდიდატურის წარდგენის შესაძლებლობა შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარეს აქვს. საბოლოო გადაწყვეტილებას ამ საკითხზე იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს. როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილი მდივნის, გიორგი მიქაუტაძის 2018-2019 წლების ანგარიშშია აღნიშნული,¹⁵¹ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სპიკერ-მოსამართლეები დაამტკიცა თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში. იქვე არის განმარტებული, რომ ამ მოსამართლეებმა ეფექტიან კომუნიკაციაში სპეციალური გადამზადება გაიარეს.

142 „Guide on communication with the media and the public for courts and prosecution authorities, European commission for the efficiency of justice (CEPEJ), 2018; available: <https://bit.ly/3kQ2lg4>

143 Justice, Society and the Media, European Network of councils for the Judiciary (ENCJ), report 2011-2012, pg..3; available: <https://bit.ly/3c8RN7L>

144 „Guide on communication with the media and the public for courts and prosecution authorities, European commission for the efficiency of justice (CEPEJ), 2018; available: <https://bit.ly/3kQ2lg4>

145 იქვე.

146 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE) დასკვნა #7, პარ. 9, 2005 წელი; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3ejgyku>

147 „ Justice, Society and the Media, European Network of councils for the Judiciary (ENCJ), report 2011-2012, pg.3; available: <https://bit.ly/3c8RN7L>

148 Guide on communication with the media and the public for courts and prosecution authorities, European commission for the efficiency of justice (CEPEJ), 2018; available: <https://bit.ly/3kQ2lg4>

149 იქვე.

150 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება # 1/14; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2PLESkR>

151 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის, გიორგი მიქაუტაძის 2018-2019 წლის ყოველწლიურ ანგარიში; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3qqt2Js>

მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტ სივრცეში ნამდვილად მოიპოვება სპიკერ-მოსამართლეების საზოგადოებასთან კომუნიკაციის მაგალითები, პრაქტიკაში ეს კომუნიკაცია საკმაოდ მწირია.¹⁵² იმისათვის, რომ სპიკერ - მოსამართლის ინსტიტუტის არსებობამ შეიძინოს გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობა, მან საზოგადოებასთან უნდა უზრუნველყოს პროაქტიული, რეგულარული, ზუსტი, საკმარისი, თანმიმდევრული და სათანადო კომუნიკაცია.¹⁵³

152 სტატიათა კრებული მართლმსაჯულებაზე, ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2020 წელი, გვ. 102; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sVawuk>

153 Guide on communication with the media and the public for courts and prosecution authorities, European commission for the efficiency of justice (CEPEJ), 2018; available: <https://bit.ly/3kQ2lg4>

გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას მოსამართლე ვალდებულია გაითვალისწინოს მართლმსაჯულების ინტერესები. სწორედ ამიტომ, მოსამართლეები თავიანთ საქმიანობაში პროფესიული ეთიკის წესებით იზღუდებიან. მოსამართლეთა ქცევა უნდა პასუხობდეს მიუკერძოებლობის, ობიექტურობის, სამართლიანობის, თანასწორობისა და პროფესიონალიზმის მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს, რაც იმას გულისხმობს, რომ მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს ნებისმიერი პოლიტიკური აქტივობისაგან, რომელმაც შესაძლოა მისი მიუკერძოებლობის შესახებ საზოგადოების აღქმაზე უარყოფითად იმოქმედოს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის გამოხატვის თავისუფლება უფრო ფართოა, ვიდრე ინდივიდუალური მოსამართლის. თუმცა მისი ქცევა, განსხვავებით საბჭოს არამოსამართლე წევრისაგან, შეზღუდულია სამოსამართლო ეთიკის წესებით. ეს არ გულისხმობს, რომ საბჭოს არამოსამართლე წევრების გამოხატვის თავისუფლება შეუზღუდავია. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები მართლმსაჯულების ინტერესების სასარგებლოდ უნდა მოქმედებდნენ და ხელს უწყობდნენ სასამართლოს მიმართ ნდობის ამაღლებას. ბუნებრივია, ეს არ გამორიცხავს საბჭოს არამოსამართლე წევრის უფლებამოსილებას, დააფიქსიროს კრიტიკული მოსაზრებები, მართლმსაჯულების სისტემაში არსებული მანკიერი ტენდენციების შესახებ.

ქართული მართლმსაჯულების შემთხვევაში, როგორც, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების, ასევე ინდივიდუალური მოსამართლეების ნაწილის მიერ გამოყენებული გამოხატვის ფორმა, ზოგიერთ შემთხვევაში შესაბამისობაში არ არის საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტთან, მოსამართლის მაღალ სტატუსთან, ბანგალორის პრინციპებთან და საქართველოს მოსამართლეთა ეთიკის წესებთან.

მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლების პროცესში სასამართლოსა და საზოგადოებას შორის სწორ კომუნიკაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებულია გადადგას კონკრეტული ნაბიჯები, რომელიც დაიცავს მართლმსაჯულების ინტერესებს ან/და კონკრეტული მოსამართლის რეპუტაციას. თუმცა, მნიშვნელოვანია, დაცული იყოს ზღვარი ეთიკურ ვალდებულებებსა და მართლმსაჯულების სასარგებლოდ გადადგმულ ნაბიჯებს შორის. გარდა ამისა, საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაციის პროცესში შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს სპიკერ-მოსამართლის ინსტიტუტიც. ასეთი ინსტიტუტი ქართულ მართლმსაჯულების სისტემაში მართალია არსებობს, თუმცა საზოგადოებასთან მისი კომუნიკაცია მწირია. არსებული ფორმით აღნიშნული ინსტიტუტი საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაციის ფუნქციას ვერ ასრულებს.

მოსამართლეს არ უნდა ჰქონდეს მოლოდინი, რომ გამოხატვის თავისუფლებით ნებისმიერი სარგებლობა მის დისციპლინირებას გამოიწვევს. მოსამართლე უფლებამოსილია საჯაროდ ისაუბროს ისეთ თემებზე, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფუნდამენტურ საკითხებზე. თუმცა, ქართულ სასამართლო სისტემაში მოსამართლეთა მხრიდან კრიტიკული მოსაზრებების გამოხატვა ნახალისებული არ არის. წარსულში სასამართლო სისტემიდან ეტაპობრივად განიდევნენ მოსამართლეები, რომლებიც სასამართლოში არსებული ვითარების მიმართ კრიტიკულ პოზიციებს აფიქსირებდნენ. უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანის მიმართ დისციპლინური დევნაც კი დაიწყო. აღნიშნულმა გარემოებებმა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მოსამართლეთა კორპუსიდან კრიტიკული აზრის თანდათანობით გაქრობაში.